ეროვნული ბიბლიოთეკა

ოლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლიტერატურული გაზეთი

№ 3 | საქ. საბჭ. მწერლების ფედერაციის ათდღიური გაზეთი | № 3
1931 წ. ნოემბრის 21

პროლეტარული ლიტერატურის გენერალური თემა

პარტიის მოწოდება: „საუკეთესო მუშების, საუკეთესო სპეციალისტების, საუკეთესო სამეურნეო მუშაკების, საუკეთესო **აგრონომების, საუკეთესო ქარხნების და მაღაროების,** საუკეთესო საბჭოთა მეურნეობების და კოლმეურნეობების სახელი **მთელმა ქვეყანამ უნდა იცოდეს" — პირველ ყოვლისა პროლეტარულ მწერლობას** აკისრებს უდიდეს ამოცანებს. **საჭიროა შრომის გმირების, ხუთწლედის ენტუზიასტების გამოცდილების და ცოდნის გავრცელება, საჭიროა, რომ საბჭოთა კავშირის** და მთელი ქვეყნის მშრომელი მასები იცნობდენ ხუთწლედის ამ გმირებს.

პროლეტარული ლიტერატურის ნამდვილ გმირებათ დღეს უნდა გახდენ სოციალისტური აღმშენებლობის გმირები — **დამკვრელები.** მწერლობამ უნდა გვიჩვენოს ჩვენი ეპოქის დადებითი ტიპი — დამკვრელი მუშები.

ხუთწლედის გმირების ჩვენებაში იყრის თავს ეხლა პროლეტარული ლიტერატურის შემოქმედების ყველა ძირითადი საკითხი.

სოციალისტური მშენებლობის ენტუზიასტების ჩვენება წარმოადგენს დღეს პროლეტარული ლიტერატურის გენერალურ თემას. სოც-შეჯიბრების გმირების, დამკვრელი მუშების გარეშე დღეს არ შეიძლება შეიქმნას დიდი ლიტერატურა.

გმირების ჩვენების საკითხი უნდა განვიხილოთ პროლეტარული ლიტერატურის მსოფლიო ისტორიულ ამოცანების საფუძველზე ე. ი. ყველაფერ იმის საფუძველზე, რასაც დღეს ჩვენ ვაერთიანებთ ბოლშევიზმის დიადი ხელოვნების შექმნის ლოზუნგს ქვეშ.

რას წარმოადგენს ისეთი მოვლენები, როგორიც არის დამკვრელობა, სოც-შეჯიბრება, კოლ-მოძრაობა და ა. შ. ? — ეს არის კაცობრიობის [illegible] ისტ პრაქტიკის ჯერ არ [illegible] ალი ფორმა, კაცობრი[illegible] რიის ახალი ფურცელი, [illegible] მშრომელი მასები აწესე[illegible] შინაარსიან ურთიერთო[illegible] ბიანებს შორის. როდესაც კა[illegible] ეძლევა მშრომელი მასების [illegible] ია უნარს, როდესაც მოქმედე[illegible] შედის სრულიად ახალი კანო[illegible] ერება. რომელიც აყალიბებს [illegible] სოციალისტურ ადამიანს. [illegible] ვენ ამ დიადი საქმის ჩასახვის, [illegible] ნვითარების დროს ვცხოვრობთ, ვმონაწილეობთ მასში. პროლეტარული ლიტერატურის მსოფლიო ისტორიულ ამოცანას წარმოადგენს ყველაფერ ამის ჩვენება.

ამ ლოზუნგის განხორციელების საქმეში მწერალი ბევრს სიძნელეს ხვდება. მუშაობის ეს სფერო ახალია. ამიტომ საჭირო ხდება სრულიად დამოუკიდებელი მუშაობა. უნდა ვეძიოთ საუკეთესო გზები, რათა ქვეყანას უჩვენოთ სოციალისტური მშენებლობის საუკეთესო მოწინავე ადამიანები.

ამ საქმეში უძლური გამოჩნდება ის მწერალი, რომელიც არ იქნება შეიარაღებული თავისი კლასის თეორიით — მარქსიზმ — ლენინიზმით, უძლური აღმოჩნდება მწერალი, რომელსაც არ შეეძლება ცხოვრების ანალიზი მთელი თავისი წინააღმდეგობებით, რომელიც ვერ შესძლებს მოვლენების ზედაპირს იქით დაინახოს [illegible] შინაარსი. ამ საქმეში უდიდეს მტერს წარმოადგენს ემპირიზმი, სქემატიზმი და ზერელე ფაქტოგრაფია.

ხუთწლედის გმირების მხატვრული ჩვენება ჩვენში ჯერ კიდევ მეტის - მეტად სუსტათ მიმდინარეობს. პროლეტარული მწერლების საგრძნობმა ნაწილმა დაუშვებელი გულგრილობა გამოიჩინა ამ დიდი საქმისადმი.

გადამწყვეტი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს მემარჯვენე — ოპორტუნისტულ განწყობილებებს, რომელიც მდგომარეობს ხუთწლედის გმირების ჩვენების შეუფასებლობაში, რომელსაც ადგილი აქვს ცალკეულ პროლეტ-მწერლებში, რომლებიც „მედიდურად" უყურებენ ამ საქმეს.

ამ ამოცანის განხორციელების გარეშე პროლეტარული მწე[illegible]ობა ყოველთვის ჩამორჩება უკან [illegible]სტრუქციის დიად ეპოქას, ამ ა[illegible]ნის განხორციელების გარეშე შეიძლება ლაპარაკი პროლეტარული მწერლების ნამდვილ გადახალისებაზე.

მთელი ჩვენი ყურადღება სოციალისტური ქვეყნის მშენებლობის მხატვრულ ჩვენებას!

რომენ როლანის წერილი

სალამი ამომავალ მზეს!

ხელოვანს, თუნდაც ი[illegible] მონაწილეობას იღებდეს როგორც მე, თანამედროვე საზოგადოებრივ ცხოვრებაში, არ შეუძლია თავის თავი ჩასთვალოს საკმაოდ კომპეტენტურად, რათა გამოსთქვას თავისი აზრი ეკონომიკისა და მრეწველობის საკითხებზე. როცა ესმის ამბები იმ უდიდეს აღმშენებლობის შესახებ, რომელიც წარმოებს საბჭოთა კავშირში, მას შეუძლია გამოსთქვას მხოლოდ თავისი აღტაცება, მისი ასეთი მძლავრი აქანების გამო.

მაგრამ არის სფერო, რომლის შესახებაც მას შეუძლია ილაპარაკოს, ინაიდან ის მას ეკუთვნის კანონით, — ეს არის ადამიანის აზროვნების სფერო და აქაც ის სიხარულით უნდა მიესალმოს საბჭოთა კავშირის მიღწევებს. საბჭოთა კავშირში იქმნება არა მარტო გიგანტური ფაბრიკები და ძალოვანი მანქანები· იქ — და ეს ჩემი აზრით ყველაზე უფრო მაღალი და უმშვენიერესია, — იქმნებიან მილიონობით ახალი ადამიანები, მთელი თაობა უშიშარ, ჯანმრთელ, ღონიერ, უანკარო ადამიანებისა, რომელთაც აღფრთოვანებს ახალი ქვეყნის ანთებული რწმენა.

დაჩანაკებულ კაცობრიობას, რომელშიაც ცეცხლი ქრება, სასიკვდილო ზმანებებით სავსე უნაყოფო ღამეში თქვენ აწვდით, ახალი დღის ლამპარს, იდეალს, რომელიც ეყრდნობა რეალურ სინამდვილეს და მთელ ნაკადს ახალგაზრდა ენერგიისა, რომელსაც შეუძლია განახორციელოს ეს იდეალი.

დასავლეთის ბინდში მყოფნი ჩვენ ვხედავთ, თუ როგორ ინთება აღმოსავლეთში, ახალი დღის განთიადი, განთიადი ყოვლის შემძლე შრომისა, რომელიც იპყრობს ახალი ეპოქის უსაზღვრო ჰორიზონტებს.



რ. როლანი.

სალამი ამომავალ მზეს! მე ვეგებები მას, მე მოვდივარ თქვენთან· მე მომყავს თან ისინი, რომელნიც, როგორც მე, მობრუნდენ პირით სინათლისაკენ, სახარების სიტყვებით რომ ვსთქვათ: „დეე მკვდრებმა დამარხონ თავიანთი მკვდრები".

თქვენ, ამხანაგებო, განსაკუთრებით თქვენს ახალგაზრდობას, მე შემიძლია გითხრათ მხოლოდ ერთი: ლაბრკოლებებისა და საშიშროების დროს, რომელიც თქვენ გადაგეღობებათ წინ, როცა დაღლილობის სიმძიმე დააწვება თქვენს მხრებს, გახსოვდეთ ყოველთვის, რომ ჩემი გმირის ჟან კრისტოფის მსგავსად, თქვენ მიგყავთ მხრებით კაცობრიობა. თქვენ გადაგყავთ იგი ნიაღვარზე. დეე თქვენივე ტვირთი იყოს თქვენი გამამხნევებელი: თქვენ იტანჯებით კაცობრიობისათვის. არ არსებობს ხვედრი უფრო ღირსეული.

შალვა რადიანი

ლენინური ეტაპისათვის ლიტერატურის მეცნიერებაში

სოციალიზმის პერიოდში შესვლა, სოციალისტური ეკონომიკის საძირკველის ამოშენება მიმდინარე წელში, კლასობრივ ძალების გადაჯგუფება, რომელიც ხდება ჩვენს ქვეყანაში—იწვევს კლასთა ბრძოლის უკიდურეს გამწვავებას.

სოციალისტური ძალების წინსვლა, კულაკობის როგორც კლასის ლიკვიდაცია, მთლიანი კოლექტივიზაციის საფუძველზე, იწვევს კლასიური მტრების გააფთრებულ წინააღმდეგობას.

ჩვენი ქვეყნის განვითარების თანამედროვე პერიოდი ახალი სახით სვამს პრობლემებს იდეოლოგიური ფრონტის ყველა სფეროებში.

უკანასკნელ ხანებში ჩატარებული დისკუსიები თეორეტიულ ფრონტზე —ფილოსოფიის, ისტორიის, პოლიტიკური ეკონომიის, ლიტერატურის მეცნიერების და სხვ. დარგებში წარმოადგენს გამწვავებულ კლასობრივ ბრძოლის ერთ-ერთ სახეობას.

იმ როლისაგან, რომელსაც ასრულებს თეორია კლასთა ბრძოლის პრაქტიკაში, აუცილებლათ გამომდინარეობს ის, რომ თვით თეორია ხდება კლასთა ბრძოლის ასპარეზათ. კლასიური ინტერესები ეხება თეორეტიული ფრონტის ყველა დარგებს (მეცნიერება, ფილოსოფია, ხელოვნება და სხვა). უკანასკნელ ხანებში აღმოჩენილი მავნებლური ორგანიზაციები, რომლებიც ამზადებდენ კაპიტალისტურ ინტერვენციას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, თავიანთ მავნებლურ პრაქტიკას საფუძვლათ მავნებლურ „თეორიებს" უდებენ (კონდრატიევ-გრომანის „გენეტიკის პრიმატი თეოლოგიაზე", რუბინის მენშევიკურ - იდეალისტური ეკონომიური თეორია, პერევერზევის შეხედულებანი ლიტერატურის მეცნიერებაში და სხვ.).

[redacted]
საქ. კომ .პარ. (ბ) ცეკას პირველი მდივანი და ს.კ.პ. (ბ) სამხარეო კომიტეტის მეორე მდივანი.

ამხ. მ. ორახელაშვილი
საკ. კ. პ. (ბ) სამხარეო კომიტეტის პირველი მდივანი

ამხ. ვ. პოლონსკი
აზერბეიჯანის კ. პ. (ბ) ცეკას პირველი მდივანი და საკ. კ. პ. (ბ) სამხარეო კომიტეტის მესამე მდივანი

გამწვავებულ კლასობრივ ბრძოლის პირობებში განსაკუთრებით მკვეთრად დაისვა პლეხანოვის თეორეტიული მემკვიდრეობის გადაფასების საკითხი.

გავრცელებული იყო შეხედულება, რომელსაც განსაკუთრებით ენერგიულად იცავდენ მომენშევიკო — იდეალისტები (დებორინი და სხვ.), რომ თითქოს ერთია პლეხანოვი პოლიტიკოსი და მეორე თეორეტიკოსი, რომ ერთია პლეხანოვის პოლიტიკური მენშევიზმი და მეორე მისი ფილოსოფიურ-ესტეტიურ - ლიტერატურული შეხედულებები. მაგრამ ეს უაღრესად შემცდარი მოსაზრება იყო. პლეხანოვ-პოლიტიკოსსა და პლეხანოვ - თეორეტიკოსს შორის არ არის განსხვავება. პლეხანოვი მთლიანი ფიგურაა, რომელიც ერთნაირ თვალსაზრისს ატარებდა დაწყებული პოლიტიკიდან და გათავებული ხელოვნება - ლიტერატურით და ფილოსოფიით. პლეხანოვის პრაქტიკა კლასთა ბრძოლაში და მისი თეორეტიული შეხედულებანი უწყვეტ მთლიანობაში იმყოფება. მენშევიზმი პოლიტიკაში, ობექტივიზმი ფილოსოფიაში, ისტორიაში, ხელოვნებაში და ლიტერატურაში—აი პლეხანოვის მთლიანი სახე. პლეხანოვი მენშევიკი პოლიტიკაში, მენშევიკი ისტორიული პროცესის გაგებაში, არ შეიძლება სხვა ყოფილიყო ფილოსოფიის ან ხელოვნება - ლიტერატურის საკითხებში.

რა საფუძვლებიდან, რომელი თვალთახედვიდან უნდა გამოვმდინარეობდეთ პლეხანოვის მემკვიდრეობის შეფასების დროს?—ლენინის შეხედულებათა საფუძველზე უნდა იქნას გადაფასებული პლეხანოვის თეორეტიული შეხედულებები, ლენინის დიალექტიკის საფუძველზე უნდა იქნას გარკვეული პლეხანოვის საერთო - მეთოდოლოგიური თვალთახედვა.

გადამწყვეტ. არსებით პირობას ლიტერატურის მეცნიერების შემდგომი განვითარებისათვის წარმოადგენს ლენინის თეორეტიულ მემკვიდრეობის შეთვისება და დამუშავება. ლენინს აქვს უდიდესი სიმდიდრე, რომელიც ჩვენ უნდა შევითვისოთ და დავამუშაოთ ლიტერატურის მეცნიერების დარგში.

დღეს ჩვენი გადაუდებელი ძირითადი სამოქმედო პროგრამა უნდა იყოს ბრძოლა ლენინიზმისათვის ლიტერატურის მეცნიერებაში.

აქამდე ლენინის, როგორც თეორეტიკოსის როლს განზრახ ჩქმალავდენ. ამ საქმეში განსაკუთრებული „დამსახურება" მიუძღვის დებორინის მომენშევიკო იდეალისტურ სკოლას. ეს სკოლა სრულიად ვერ აფასებდა ლენინის თეორეტიულ როლს ფილოსოფიაში, ესტეტიკაში, ხელოვნებაში, ლიტერატურაში.

ის ვერ აფასებდა რომ ლენინი იყო არა მარტო დიდი პრაქტიკოსი, პროლეტარიატის ბელადი, არამედ იგი იყო ამავე დროს უდიდესი თეორეტიკოსი, რომელმაც მარქსიზმი აიყვანა ახალ საფეხურზე.

როდესაც ვიბრძვით ბოლშევიკურ ლიტერატურის მეცნიერებისათვის, აუცილებელია გამოვარკვიოთ ის სხვაობა, რომელიც არსებობს ლენინის და პლეხანოვის მეთოდს შორის. აქ ჩვენ არსებით, ძირითად განსხვავებას ვნახავთ· პლეხანოვის მეთოდს ახასიათებს ანტიისტორიზმი, აბსტრაქტიულობა, გადაჭარბებული ლოგიზაცია, ანტი-დიალექტიკა და სხვ. ლენინის მეთოდს კი ყოველთვის ახასიათებდა კონკრეტულ - ისტორიული პირობების გათვალისწინება, ცოცხალ საზოგადოებრივ ძალების ანალიზი, მოვლენებისადმი დიალექტიური მიდგომა, პარტიული თვალსაზრისი და სხვ.

ლენინის წერილები ტოლსტოის შესახებ წარმოადგენს ლიტერატურის საკითხებში დიალექტიკის მოხმარის იშვიათ ნიმუშს. ის, რაც ლენინს ყოველ თავის შრომაში ახასიათებს, ამ წერილებში განსაკუთრებით სიძლიერით მოსჩანს: კონკრეტულ-ისტორიული და ღრმა პარტიული თვალსაზრისი.

ლენინი მხატვრულ ნაწარმოებს არ აშორებდა ისტორიულ პირობებს. ის არჩევდა ნაწარმოების იდეურ მიმართულებას, კლასიურ სახეს. ის მწერალს და ნაწარმოებს ყოველთვის პარტიული თვალთახედვით უდგებოდა, მაგრამ ამავე დროს არკვევდა ნაწარმოების ისტორიულ შინაარსს, მის ხასიათს იდეების მხრივ.

ამხ. პ. მელაძე
საქ. კომ. პ. (ბ) ცეკას მეორე მდივანი

ლენინი ნაწარმოების და მწერლის შეფასების დროს სრულად ითვალისწინებდა საზოგადოებრივ მოვლენების ურთიერთობას კლასიურ ბრძოლაში.

ტოლსტოის მოძღვრების და შემოქმედების გარკვევაში და გათვალისწინებაში ლენინი ძირითადად უპირისპირდება პლეხანოვს. ამ უკანასკნელის აბსტრაქტიულობას ლენინი უპირისპირებდა მოვლენების კონკრეტულ-ისტორიულ პირობების გარკვევას.

გარდა ტოლსტოისა ლენინს სპეციალურად და კონკრეტულად თითქმის არცერთი მწერლის ან ლიტერატურული პრობლემის შესახებ არაფერი დაუწერია. მაგრამ შემცდარი იქნება მოსაზრება, რომელიც ფიქრობს თითქოს ლენინის სხვა ხასიათის ნაწერებში ცოტა მასალა იყოს ხელოვნების და ლიტერატურის თეორი[illegible] კითხებზე. ლენინის ნაწ[illegible] მრავლად ვნახულობთ ისეთ აზრებს, რომელთაც უახლოესი კავშირი აქვს ხელოვნების და ლიტერატურის სპეციფიურ პრობლემებთან. შემეცნების მატერიალისტური გაგება, შემეცნების კავშირი კლასიურ პრაქტიკასთან, შემეცნების სხვადასხვა პერიოდების და ფორმების სპეციფიურობა, აზროვნების და შეგრძნების ურთიერთობა, შეფასების პრობლემა, გენეზისი და ფუნქცია, კლასიური ეკვივალენტის პოვნა, ფორმის და შინაარსის ურთიერთობა, მხატვრულობის პრობლემები და სხვ· საკმაოდ არის გარკვეული ლენინის ნაწერებში. ლენინი საუკეთესო სქემას იძლევა ლიტერატურის ისტორიის სისტემატიური კურსის დასაწერად. მის მიერ აღნიშნული კაპიტალიზმის განვითარების ორი გზის (პრუსიული და ამერიკული) გათვალისწინების ნიადაგზე.

განსაკუთრებით უნდა შევჩერდეთ ერთ პრობლემაზე, რომელიც ფართოდ დააყენა ლენინმა. ეს არის თეორიის პარტიულობა. თეორია იყო და არის უაღრესად პარტიული. ლენინი არა ერთხელ აღნიშნავდა თეორიის პარტიულ ხასიათს.

თავის ცნობილ შრომაში **„მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი"** ლენინი ფილოსოფიას საზღვრავდა, როგორც პარტიულ მეცნიერებას, ამხელდა რევიზიონისტებს, რომლებიც იკვეხნიდენ თავიანთი არაპარტიულობით ფილოსოფიაში· ლენინი ამტკიცებდა, რომ არ არის და არ შეიძლება იყოს უპარტიო ფილოსოფია, რომ ადამიანები, რომლებიც იკვეხნიან თავიანთ არაპარტიულობას, სინამდვილეში ეკუთვნიან რეაქციონურ ფილოსოფიას, რომელიც იცავს ბურჟუაზიის დიქტატურას· „მარქსი და ენგელსი,—სწერდა ლენინი,—თავიდან ბოლომდე პარტიულები იყვნენ ფილოსოფიაში". სხვა ადგილას იმავე შრომაში ლენინი სწერდა: „მატერიალიზმი გულისხმობს ასე ვსთქვათ პარტიულობას, ყოველგვარი მოვლენის შეფასების დროს აუცილებლად დგომას პირდაპირ და საჯაროთ გარკვეულ საზოგადოებრივ ჯგუფის თვალსაზრისზე".

მსგავსად იმისა, როგორც ფილოსოფოსი ვალდებულია იყოს პარტიული, ისევე ლიტერატურის მეცნიერიც ყოველთვის და ყოველ პირობებში უნდა იდგეს პარტიულ თვალსაზრისზე. მხოლოდ ასეთ პირობებში იქნება ლიტერატურათმცოდნეობა კლასიური მეცნიერება.

ლენინის მიერ თეორიის პარტიულობის მკვეთრ დაყენებას უაღრესი მნიშვნელობა აქვს დღეს ჩვენი ლიტერატურის მეცნიერებისათვის.

ამხ. გ ყურულაშვილი
საქ. კ. პ. (ბ) ცეკას მესამე მდივანი

თუ არ დავამუშავეთ, არ მოვიხმარეთ სათანადოთ ლენინის მემკვიდრეობა ისე პროლეტარული მწერლობა ვერ გადასწყვეტს თავისი თეორიის და შემოქმედებითი მეთოდის ვერც ერთ კარდინალურ საკითხს, ვერ გახდება დიდი ეპოქის მწერლობა. სამწუხაროთ ლენინის მემკვიდრეობის შეთვისების საქმეში ჩვენი პროლეტარული ლიტერატურა ძლიერ ნელი ნაბიჯით მიდის წინ.

როდესაც ვლაპარაკობთ ლენინის მემკვიდრეობის შეთვისებაზე, არ შეიძლება საქმე ისე წარმოვიდგინოთ თითქოს ყველაფერი ეს მშვიდათ მიმდინარეობდეს. ლენინის მემკვიდრეობის შეთვისება ნიშნავს ბრძოლას მარქსიზმისადმი მტრულად განწყობილ კონცეპციებისადმი, ყოველი სახის ოპორტუნიზმისადმი და დახინჯებათადმი.

ამგვარად, **დღეს ჩვენს გადაუდებელ ძირითად ამოცანას წარმოადგენს ლენინის მემკვიდრეობის შეთვისება, ბრძოლა ლენინიზმისათვის ლიტე[illegible]ტურის მე[illegible]რებაში.**

[illegible]რადლებ[illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაჟდენ გვეტაძე

მწერლობის ზოგიერთ საკითხზე

ოქტომბრის რევოლუციის მე-15 წელს, საბჭოთა მწერლები პროლეტარულ მწერლებთან ერთად, შეხვდენ განსაკუთრებული ხალისით, ახალი ენერგიით, პროლეტარული კულტურის შექმნისათვის ინტენსიურ ბრძოლისა და შემოქმედების სურვილით.

ეს უმთავრესად უნდა მიეწეროს მწერალთა ორგანიზაციების ხელმძღვანელობის გაძლიერებას, რასაც მოჰყვა მწერალთა შორის მასიური მუშაობის გაშლა და საქმიან ნიადაგზე ამხანაგურ ატმოსფერის შექმნა.

შემდეგში საჭიროა უფრო მეტი კონტაქტი და ჯანსაღი ურთიერთობა პროლეტარულ და იმ თანამგზავრ - მოკავშირე მწერლებს შორის, რომელნიც გულწრფელად მოწადინებულნი არიან აქტიური მონაწილეობა მიიღონ პროლეტარული კულტურის შექმნაში და სოციალისტურ მშენებლობაში.

ამით, რა თქმა უნდა, მე არ მოვითხოვ ლიტერატურულ ზავს, არც იმას, რომ მარქსისტულ - ლენინურმა კრიტიკამ საბჭოთა მწერლობისადმი აწარმოოს თავზე ხელის მოსმის პოლიტიკა და მათ შეცდომებზე თვალი დახუჭოს. პირიქით, კლასთა ბრძოლის გამწვავების პერიოდში, რასაც ამჟამად აქვს ადგილი, საჭიროა კრიტიკის კიდევ უფრო გამახვილება და მწერლის შემოქმედებაში ყოველ რეაქციონურ, ანტირევოლუციონურ, მავნე გადახრის დაუნდობლად გამოაშკარავება.

მაგრამ ეს „დაუნდობლობა" არ უნდა გადაიქცეს უნდობლობად. უეჭველად საწინააღმდეგო შედეგს გამოიღებს, თუ კრიტიკას ექნა ჩამქრალი იარაღის ფუნქცია და მან არ მოისურვა, ან ვერ შესძლო წაბორძიკებულ მწერლის წელში გასწორება.

გაუსწორებელს, ხალხურ თქმის არ იყოს, სხვა რამე გაასწორებს და ამ შემთხვევაში, როგორც აშკარა მტერთან ბრძოლის დროს, უთუოდ საჭიროა მკაცრი ბრძოლა. ეს თავისთავად იგულისხმება. მაგრამ კრიტიკა ვერ მიაღწევს მიზანს, თუ ის ყველა მწერალს, თვითეულ ნაწარმოებს ერთი თარგით მიუდგა. ვერც მარტო ზოგადი ხასიათის კრიტიკა გაუწევს სასურველ დახმარებას მწერლობას. ამიტომ საჭიროა კრიტიკას ჰქონდეს სეისმოგრაფის თვისება, რომ მან კონკრეტული მხილებით, ლიტერატურულ პროდუქციის კონკრეტული ანალიზით მწერალს აჩვენოს ჩადენილი შეცდომები და მოახლოვებულ საფრთხისაგან თავის დაღწევის გზა.

იმავე დროს, იდეოლოგიურ სიწმინდის გარდა, მწერლისაგან კრიტიკა უნდა ითხოვდეს მხატვრულად უზადო პროდუქციას. ამჟამად უნდა ითქვას, რომ კრიტიკა ნაკლებ ყურადღებას აქცევს ნაწარმოების მხატვრულ ხარისხს. ნაწილობრივ კრიტიკის სისუსტით აიხსნება ის გარემოება, რომ ამ მხრივ მწერლების ნაწილში დღეს მიუტევებელ ზერელობას და სამწერლო კვალიფიკაციის დაქვეითების ხშირ შემთხვევებს აქვთ ადგილი.

მარქსისტ. კრიტიკამ მწერლობაში იდეოლოგიისათვის ბრძოლა იმავე დროს უნდა გადააქციოს წითელ ხალტურის წინააღმდეგ ბრძოლად. ამ ბრძოლის წარმატება დიდათაა დამოკიდებული იმაზე, თუ როგორი პრაქტიკული ზომები იქნება მიღებული [illegible] ნაბრუნის მოსასპობად. საჭიროა მწერლის შრომა ანაზღაურებულ იქნეს მისი კვალიფიკაციისა და ლიტერატურული ფაქტების ხარისხიანობის მიხედვით. ყველა ნაწარმოებზე გაწეულ შრომის ანაზღაურება არ უნდა ხდებოდეს თვალ-დათვალ და ხელაღებით. ეს მწერალს უკარგავს სტიმულს და ხალისს ეცადოს ისეთი ნაწარმოები შექმნას, რომელიც გამართული იქნება როგორც იდეოლოგიურად, ისე მხატვრული ღირსებითაც.

ახალი ეპოქის სულის გადმოცემისათვის სიტყვის, სტილის და ფორმის მხატვრულ მწვერვალებზე აყვანაში, იდეოლოგიურად საღ ნაწარმოების მოცემაში უდიდესი როლის თამაში შეუძლია კრიტიკას, მაგრამ, ცხადია, მარტო კრიტიკას გაუჭირდება ყველაფერ ამის გაკეთება, მარტო კრიტიკა ვერ შესძლებს ახალ იდეებით და მისწრაფებებით გამსჭვალულ კვალიფიციურ მწერლის ტიპის ჩამოქნას, თუ თვით მწერალს არ მიეცა თავის თავზე მუშაობისა და შემოქმედებისათვის მეტი საშუალება.

მწერლის ყოფა-ცხოვრების შესახებ ლაპარაკი მოითხოვს სპეციალურ წერილს. აქ მხოლოდ მოკლედ მინდა შევეხო ამ საკითხს, რადგან ის ჩვენის აზრით, უშუალოდაა დაკავშირებული ზევით წამოყენებულ დებულებებთან.

დასტურ, მწერალი ისეთ მდგომარეობაში იმყოფება, რომ მას მეტად მცირე დრო რჩება შემოქმედებისათვის. ის იძულებულია, მთელი თავისი ენერგია და უნარი გამოიჩინოს სრულიად სხვა დარგში, როგორც სხვა პროფესიის კაცმა და ხშირად თვეობით ვერ ახერხებს გულიანად მოჰკიდოს ხელი კალამს. ამ არა ნორმალურ მოვლენის სტაბილურობას ხელს უწყობს ის აზრიც, რომ თითქოს, ქართველ მწერალს არ ჰქონდეს უფლება რაგინდ კვალიფიციურიც არ უნდა იყოს ის, იცხოვროს მხოლოდ თავის შემოქმედებით, რომ თითქოს მწერლობა მარტო მოცლის დროს, ან ზედმეტად დატვირთვის სახით შეიძლებოდეს. ეს აზრი აშკარად მავნებლური და ოპორტუნისტულია.

ასე მსჯელობდენ მენშევიზმის მესვეურები, რომელთა ბატონობის ხანაში ფრჩხილის ოდენაც არაფერი გაკეთებულა მწერლობის სასარგებლოდ, მწერალთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. **საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდანვე მწერალზე და მწერლობაზე ზრუნვა თვით სახელმწიფომ იკისრა, რამაც დიდი გარდატეხა მოახდინა მწერალთა მასაში.** მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი რამაა გასაკეთებელი იმისათვის, რომ მწერალი მთელი თავისი არსებით მიეცეს შემოქმედებას.

მეცნიერებისა და ხელოვნების სხვა დარგის არც ერთი მუშაკი არაა იძულებული მწერლის მსგავსად ჯერ სხვა საქმე აკეთოს და შემდეგ, თუ დრო ექნა, იყოს მეცნიერი, მსახიობი, მუსიკოსი ან მხატვარი.

ამას ზედ ერთვის ყოფა-ცხოვრების მძიმე პირობები. ბევრი მწერალი პირდაპირ უბინათოა.

მწერალთა კვებისა და მომარაგების საქმე მოუგვარებელია. არც მათი ჯანმრთელობის დაცვას ექცევა შესაფერი ყურადღება.

ასეთ პირობებში ძნელია მწერლის შემოქმედება იქნეს ნაყოფიერი და დახვეწილი. ამიტომ მწერალთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესება უწინარეს ყოვლისა თავიანთ გადაუდებელ ამოცანათ უნდა დაისახონ მწერალთა ორგანიზაციებმა.

ჩვენმა მწერალთა ორგანიზაციებმა უნდა შესძლონ მწერალთა ყოფაცხოვრების გაუმჯობესების მიზნით გამოყოფილ მთავრობის კომისიის დადგენილების რეალიზაციის დაჩქარება. ამ დადგენილებაში გათვალისწინებულ მწერლებისათვის დახურულ განმანაწ[illegible]ელის გახსნა, სახლების აგება, მწერლების გაგზავნა კურორტებზე და დასასვენებელ სახლებში, რითაც მიზობელ რესპუბლიკებში, კერძოდ რუსეთსა და უკრაინაში, დიდი ხანია მწერლები სარგებლობენ.

ამრიგად, მატერიალური მდგომარეობისა და ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესება, კონკრეტულ კრიტიკის გამახვილება და გაშლა მწერალს საშუალებას მისცემს იყოს უფრო პროდუქტიული, უფრო ახლო მონაწილეობა მიიღოს სოციალისტურ მშენებლობაში და უფრო აითვისოს დღევანდელობა, რაც დააჩქარებს მისი მსოფლმხედველობის გადამუშავებას მარქსისტულ - ლენინურ ნიადაგზე.

ს. შანშიაშვილი

ევროპეია 26 კომუნარზე

გაცოფდა შუღლი სომხის და თურქის!
გრიალებს თოფი, ელავს ხანჯალი!
გამოიღადრა ყელი და მკერდი!
იქ დედა კვდება აჩეხილ ბავშთან,
აქ მამას ტყვიით გულს უგმირავენ.
ღმუილი... კვნესა, დაჭრილთ ჩრიალი...
სახლში!
ეზოში!
გარეთ ქუჩაში,
ქვაფენილებზე,
ვრცელ მოედნებზე—
ყველგან გვამები შესვრილი წითლად!
შავმა ღალატმა, გამყიდველობამ
ბასრი ეშვებით გამოხრა ბაქო
და 1918 წელი
ჩაახრჩეს სისხლში!

—:—

უკანასკნელი მიტინგი იყო...
იქ განწირული შაუმიანი,
გარშემორტყმული კომუნარებით,
ცეცხლის სიტყვებით ამხელდა ღალატს,
მუშათ გამცემლებს.
— რა გიხარიანთ?
რა ზეიმი გაქვთ?
მენშევიკებო, ესერებო, მუსავატელებო და
დაშნაკებო?!
მტრები იყავით საბჭოთ უფლების,
ვერაგი მტრები დარჩებით მტრებად!
ჩვენ წავალთ, მაგრამ კვლავ დავბრუნდე-
ბით!
და პასუხს გაგცემთ!..
„თქვენ კი, მუშებო, თბილ ქარს, ბრინჯს
თეთრს
-რს ვისგან **მოელით?**
„ინგლისისაგან?
„შეცდომაა, გაუსწორებელი შეცდომა!
„ჩვენ წავალთ მაგრამ გვჯერა:
„ბაქოს პროლეტარიატი საბჭოთა დროშის
ქვეშ
„საბოლოოდ და უკანასკნელად დაირაზმება!

—:—

ინგლისელ სარდალს, გენერალ ტომსონს,
შუბლი შეუკრავს!
აძლევს ლაქიებს განკარგულებას!
და იმავ ღამეს,
იმ შავბნელ ღამეს
დააპატიმრეს კომუნარები!
უკანასკნელად ბნელს კამერაში
ოცდამეექვსეც შემოიყვანეს:
—ო, ალიოშა!
მიეგებნენ ამხანაგები.
სდუმს ჯაფარიძე.
იცის ამბავი: ხვალ დახვრეტავენ,
ამხანაგებს კი არაფერს უმხელს.
თვითონ მხნე ბურჯი სხვებსაც ამხნევებს:
—შევხვდეთ გმირულად! წარბშეუხრელად!
დავმარცხდით, მაგრამ არ დავმარცხდებით!

—:—

ამ დროს არ სძინავს ადერბეიჯანს!
მშრომელ მარჯვენას, ხელებ დაკოჟრილს,
გულგამწარებულს ადერბეიჯანს.
გლეხი აშუღი ქუჩებში დადის,
ეძებს თავის შვილს კომისართაგანს.
და თანაც მღერის
რომ მისმა შვილმა ხმით მაინც იცნოს.
— ჰეეი, მითხარით, სად არის
ნეტა ვარდის ქვეყანა?
შვილო ხანლარ, გული ჰკივ[illegible]...
სადა ხარ, სად?!
ვხედავ და მეფარება,
ძილი არ მეკარება
გული კივის:
სადა ხარ შენ,
ან ვარდების ქვეყანა?!

—:—

მისი შვილი კი,
ახალგაზრდა, სიცოცხლით სავსე,
ზის ოცდაექვსთან.
არ იცის, ხვალე მას რა მოელის
და იმეორებს ბელადის სიტყვებს:
„შევხვდეთ გმირულად! წარბშეუხრელად!
„დავმარცხდით, მაგრამ არ დავმარცხდებით!

—:—

ღამეა შავი...
ღამეა ბნელი.

ს. შანშიაშვილი.

სძინავს კამერას.
სძინავს უდაბნოს!
სძინავს ოცდაოთხს...
მხოლოდ არ სძინავს მათში ორად ორს!
— ალიოშა, მაშ ხვალე დილით?...
— სუ! ჩუმად! არ გაიგონონ!
ეხ, სტეპან, სტეპან!
. . . .
ნელი წუთები...
დრო მიბაჯბაჯებს...
მაჯა ერთს წუთში ასსამოცჯერ სცემს...
მტკიცეა გული და ნებისყოფა!
მაგრამ სხეული,
ხორცი ძლეული.
თრთის და ცახცახებს.
სიცოცხლე—მაინც—მაინც ტკბილია!
— ო, მოდი, ძილო, მკურნეო,
წამწამზე დამეკიდეო!
თავდავიწყებავ, წამიერ,
გაშალე შენი რიდეო!
არ მინდა ფიქრი სიკვდილზე,
გულში სიცოცხლე მიდეო;
იგივ სიცოცხლე მწყურიან,
რაც კი ბრძოლისთვის ვზიდეო!

—:—

თითქოს მიყუჩდა მთლად ყველაფერი...
მაგრამ—იქ ერთს—იქ—ბნელ კუთხეში
არა! არ სძინავს!
თითქოს ჩურჩულებს...
რაღაცას ამბობს...
მეორემ ჩურჩულს რო მოჰკრა ყური,
წამოიწია.
რაღაც თქმა ჰსურდა.
და რომ მან სიტყვით თვისი გრძნობა ველარ
დასძლია—
თვის უნებურად წამოიმღერა:

„ეს არის მედგარი, ჩვენი გადამწყვეტი
ბრძოლა,
„ინტერნაციონალით ვპოვებთ შვებას ყვე-
ლა!

და სხვებიც აჰყვნენ...
ასკდება ხმები
ბნელ კამერის ნესტიან კედლებს:
— ჰეი შენ, ტომსონ!
და თქვენც ვერაგნო!
მალე შეგიპყრობს შიში და ძრწოლა!
პროლეტარები სჭერენ
კანაჩენს!

—:—

ბნელა ბაქოში, ქართა ქალაქში,
მუშათა უბნებს ღელვა ამოხდა...
მიწა კი ჰგოდებს
მხოლოდ გენერლის მორთულ ბინაზე
მკვეთრობს სიმძაფრე მუშტ-მოღერილი:
— კოალიციის მთავრობა არის——
— მოსმენაც არ ჰსურს!...
მე მირჩევნია ზანგის სიმღერა!—
და ზანგი ჯერიც როგორც ტიკინა,
ტომსონს უმღერის ზანგურ სიმღერას!
— არ მყავს დედა,
არ მყავს მამა!
ტომსონია
ქვეყნის მამა!

—

გაიღო კარი.
— თქვენ ხართ თავრობა? —ჯერი, ეს!
რისთვის გარჯილხართ, ბატონებო?
— ბაქოს მუშები ძლიერ ღელავენ,
რომ კომისრები ციხეში სხედან!
— დაე, ნურც სხდან!
— გვესმის, სერ!
ჯერ ისევ ბნელა...
დარაჯი მოდის, ხარუნებს რკინა!
და კამერიდან—- — —
სათითაოდ გაჰყავთ ნელ-ნელა
ოცდაექვსი!

—:—

ნაბიჯი ნელი.
ნაბიჯი მტკიცე!
ერთი გული აქვთ და ერთი სუნთქვა!
შორს, სადღაც არყით გალეშილები
გრიალებენ თოფიდან სიკვდილს:
ძირს ეცემიან კომუნარები...
სისხლი გულიდან გადმოხეთქილი
ცივ მიწას დაღვრის და იწერება:
„პროლეტარიატის დიქტატურისთვის
„სამმო სამარე საქართველოა!
„დავმარცხდით, მაგრამ ჩვენ გავიმარჯვებთ!
. . . .
მორჩა,.. გათავდა..
და როცა ქარი ყრიდა სილას,
აშუღის კვნესა აკრთობდა ყველას:
— ჰეეი, მითხარ...
სად არის...
ნეტა, ვარდის ქვეყანააა!
შვილო ხანლარ, გული ჰკივის:
სადა ხარ, სად?
გული ჰკივის: სადა ხარ შენ
და ან ვარდის ქვეყანააა!
აი ვარდის ქვეყანა,
ყვავილების ქვეყანა,
თქვენ სადა ხართ?
მზემ სხივები უხვად გადმოგვაყარა!

21 ნოემბერს, საღამოს სრულ 7 საათზე,
ე. ნინოშვილის სახელობის მწერალთა

მოიხსენება

პოეზიის საწარმოო თათბი

მომხსენებლები: ალ. სულავა.
კონსტ. ლორთქიფანი

საქ. პრ მწ ასოციაციის სამდივნო.

ალ. სულავა

შემოქმედებითი დისკუსიისათვის

ჩვენი ქვეყნის სოციალისტური მშენებლობის გიგანტურ მიღწევებთან დაკავშირებით, კლასიურ ბრძოლებში გამარჯვებისა და წინსვლის მომენტში, როცა უჩვეულო ტემპებით სწარმოებს ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის აყვავება, როცა სოციალიზმის პერიოდში შესული მუშათა კლასი შლის შემოქმედებითი შესაძლებლობის უდიდეს ენერგიას, იჩენს გმირობას და თავდადებას იმისათვის, რომ მტკიცედ და ნამდვილად ააშენოს სოციალიზმი, მტკიცედ და ნამდვილად დაიცვას იგი,—მხატვრული მწერლობის წინაშე, როგორც არას დროს, სდგას საკითხი დაეუფლოს ამ პერიოდის გენერალურ თემებს, ჩაწვდეს ამ უდიდესი ეპოქის იდეებს; გახდეს ამ იდეებისათვის მებრძოლი და მონაწილე ძალა.

კლასიური ბრძოლის სინამდვილეში, რომელსაც ადგილი აქვს ჩვენს ქვეყანაში, სოციალიზმის ზრდისა და კაპიტალიზმის ნარჩენების ლიკვიდაციის პროცესში, სოციალიზმისათვის გადამწყვეტი და უმწვავესი ბრძოლის დროს,—ისმება კითხვა: რომელ მწერალს, რაგვარი მსოფლმხედველობით, რა იდეოლოგიით შეუძლია ამ ვალდებულების შესრულება. აშკარაა იმ მწერალს, რომელიც იზიარებს მუშათა კლასის ბოლშევიკური პარტიის ტაქტიკასა და პოლიტიკას, მარქსისტულ - ლენინურ მსოფლმხედველობას და ამ თვალსაზრისით უდგება მოვლენების გაგებასა და ახსნას. ამ თვალსაზრისით აშუქებს ჩვენი ეპოქის უდიდესი ბრძოლების—რეკონსტრუქტიულ პერიოდის საკითხებს; როცა აშკარა უპირატესობა ისეთ ნაწარმოებებს ეძლევა, რომელიც თემატიურად და იდეურად ამ პერიოდის მნიშვნელოვან საკითხებს ეხება და სწყვეტს.

ამით აიხსნება უსათუოდ რუსულ ლიტერატურაში თუნდაც მ. შაგინიანის „ჰიდრო ცენტრალი"-ს გახმაურება, ვ. სტავსკის „გარბენა"-ს აქტუალობა. ეს ნაწარმოებნი იმით არიან შესანიშნავნი, რომ პირველი უახლოვდება დიალექტიურ მატერიალიზმის მეთოდს, ხოლო მეორე დიალექტიურ მატერიალისტური მეთოდით წყვეტს დღევანდელ ეტაპის საკითხებს. ეს წიგნები იმის მაჩვენებელნი არიან, რომ „დისტანციის თეორია", რომელსაც ეფარებიან ზოგიერთი მწერლები, უძლურებისა და უნიათობის რეაქციონური თეორიაა, რომ ეხლა არ შეიძლება აზროვნება და წერა იმ გვარად, როგორც რამოდენიმე წლის უკან. და ის მწერლები, რომლებიც ახერხებენ ჩვენი პერიოდის ამოცანების შეგნებას, მებრძოლი მსოფლმხედველობით შეიარაღებას, [illegible]ხებენ ჩვენი პერიოდის ამოცანების [illegible]ბას, მებრძოლი მსოფლმხედველობით [illegible]ბას, ახერხებენ [illegible]ოვრების ტემ-[illegible]

მუშაობის სისტემით თითქოს არ შეიძლებოდეს თავის დაღწევა შემოქმედებითი სიკვდილისაგან. მხოლოდ ამისათვის საჭიროა არა პანიკიორობა, როგორც ამას თუნდაც **ნ. მიწიშვილი** ჩადის, როცა სწერს,—„რომ სოციალიზმის ეხლანდელი პერიოდის გამომხატველი და მისთვის საჭირო შემოქმედებითი ფაქტის მოცემა ძნელი უნდა იყოს. მისთვისაც კი, ვინც აღიზარდა მხოლოდ ამ პერიოდში და სავსებით მისი ფსიხიკით გაიჟღენთა" (იხ. „სალიტ. გაზ." № 1). აქ ნათელია საკითხების მიფუჩეჩების ცდა და ჩამორჩენის უფლებისათვის ბრძოლა. აქ საკითხს სწყვეტს არა მარტო ფსიხიკა და მხატვრული კვალიფიკაცია, არამედ პოლიტიკური მომენტი, მსოფლმხედველობა. თუ მწერალს არ უნდა პოლიტიკურად, მსოფლმხედველობით შეიგნოს მიმდინარე ცხოვრების სინამდვილე, ისე და იმ გვარად, როგორც ის ბოლშევიკებს ესმით, იგი მხოლოდ „ცალიერი კვალიფიკაციის" სპეკულიანტად დარჩება. ჩვენთვის საინტერესოა და უფრო მეტი სარგებლობის მომტანია არა ფაშისტი ინჟინერი და ტეხნიკოსი, არამედ იდეურად და მსოფლმხედველობითაც ბოლშევიკურად მოაზროვნე ინჟინერი, მწერალი და სხვა. სხვანაირად საკითხის დაყენება შეუძლებელია.

არა მუშათა კლასისა და მისი პარტიის მიხედვით აზროვნება ამ საკითხებში, კლასიური მტრის აზროვნება იქნება. ამ გარემოებით აიხსნება უსათუოდ ის პროცესი, რომელსაც ადგილი აქვს ბოლშევიკური პარტიულობისათვის ბრძოლის სახით თეორიულ ფრონტის ყველა დარგებში: ფილოსოფიაში, პოლიტ-ეკონომიაში, ლიტერატურათ-მეცნიერებაში. ამავე გარემოებით აიხსნება ის სერიოზული ძვრები, რომელთაც ადგილი აქვთ ლიტერატურაში დიფერენციაციის, ძალთა ახალი გადაჯგუფების სახით. თანამგზავრობის მოკავშირეობისაკენ განვითარება, კლასიურად უცხო იდეოლოგიურ შეხედულებების გამომჟღავნება, მოემენშევიკო იდეალიზმის გამოაშკარავება—აი ჩვენი საბრძოლო ამოცანები.

ამავე გარემოებით აიხსნება კერძოთ ის დისკუსიები, რომლებმაც ფართო ადგილი დაიჭირა ამ უკანასკნელად ლიტერატურაში. შემოქმედებითი მეთოდზე დისკუსიის საჭიროება რეკონსტრუქციის პერიოდის მოთხოვნილებათა აუცილებლობამ გამოიწვია. ამ მოთხოვნილებით აიხსნება თუნდაც [illegible] დისკუსია, რომელიც ამჟამად სწარმოებს [illegible]მოკავშირისა და რუს. პრ. მწ. ასოც. [illegible] ამავე მოთხოვნილებით აიხსნება უსათუოდ ის დისკუსიაც, რომელიც მიმდინარეობს ფართო ხასიათით ლენინგრადში, არა პროლეტარულ მწერალთა შორის, სადაც შემოქმედებითი მეთოდის, დიალექტიური მატერიალისტურ მეთოდის მომარჯვებისა და გამოყენებისათვის მტკიცე ბრძოლას, პროლეტარული მწერლობის გვერდით, თანამგზავრი და მოკავშირე მწერლებიც იწყებენ.

შემოქმედებითი მეთოდისათვის ბრძოლა, დიალექტიურ-მატერიალისტურ მეთოდის დაუფლება უპირველეს ყოვლისა მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობისათვის ბრძოლას ნიშნავს და თუ ამ ბრძოლაში გარკვეულად თანამგზავრი მწერლები იღებენ მონაწილეობას, ეს მეტად სერიოზული სიმპტომია. მაგრამ აშკარაა ისიც, რომ შემოქმედებითი მეთოდისათვის გამართულ ბრძოლაში და დისკუსიებში ადგილი აქვს გადამახინჯებასაც. მრავალი მწერალი დისკუსიის სახით არქიულ და რეაქციონურ აზრებს ანვითარებს, ისევ იდეალისტურ აბდაუბდას იცავს. ან და შემოქმედებითი დისკუსიის საკითხებს ისე და იმ გვარად აყენებს, რომ იწყებს მარქსისტულ-ლენინური პრინციპების თვალთმაქცურ რევიზიას, ან და პროლეტ-ლიტერატურული მოძრაობის ძირითადი საფუძვლების კრიტიკას.

ასეთ ხასიათს ატარებს თუნდაც ის დისკუსია, რომელიც პროლეტლიტერატურულ მოძრაობაში ლიტფრონტმა დაიწყო. ლიტფრონტის ბრძოლა ნაპოსტოველობასთან უსათუოდ შემოქმედებითი დისკუსიაში მახინჯ გამოხატულებას წარმოადგენდა, მაგრამ ნაპოსტოველების ეს ბრძოლა ლიტფრონტთან არ დარჩენილა უშედეგოდ. ლიტფრონტის ანტიპარტიული, ფრაქციული ბუნების გამომჟღავნების შემდეგ შემოქმედებითი მეთოდის საკითხი და დისკუსიის პირველ პერიოდში აღმოცენებული პრობლემები უფრო მეტი პრინციპიალობით და სიღრმით დაისვა.

განა ის ბრძოლა, რომელიც იმ დისკუსიაში ლიბედინსკისა და ბეზიმენსკის შემოქმედებითი მეთოდის ირგვლივ დატრიალდა, დღესაც არაა სადაო მთელი რიგი სხვა მწერლების შემოქმედებითი მეთოდის ანალიზისათვის! ავიღოთ თუნდაც ისეთი საკითხი, როგორიცაა „უშუალო შთაბეჭდილების" მეთოდი. განა მრავალი პროლეტარული და თანამგზავრული მწერალი ჯერ კიდევ ამ მეთოდით არ მუშაობს და ეს სწორეთ მაშინ, როცა ჩვენი მწერლობის წინაშე უდიდესი კლასიური პრობლემები სდგანან, რომელთა გადაწყვეტა ისეთი წვრილ-ბურჟუაზიული უნიათო, იდეალისტურ, ემპირიულ მეთოდით, როგორც უშუალო შთაბეჭდილების მეთოდია—შეუძლებელია და ანტიბოლშევიკური.

როგორ შეიძლება აჩვენოს მწერალმა სწორად ჩვენი ქვეყნის გმირები, წინააღმდეგობით აღსავსე კლასიური ბრძოლის სინამდვილე, ამ სინამდვილეს მისცეს ბოლშევიკური ანალიზი თუ ის არაა შეიარაღებული დიალექტიურ მატერიალისტური მეთოდით, ლენინური აზროვნებით და მსოფლმხედველობით! ამ თვალსაზრისით დიალექტიურ მატერიალისტურ მეთოდისათვის ბრძოლა მტკიცე ბოლშევიკური მსოფლმხედველობისათვის ბრძოლაა და ყველა ის მწერალი, ვინც თავს ვალდებულად სთვლის იდგეს ბოლშევიზმის იდეოლოგიურ სადარაჯოზე და ცდილობს შეუწყოს ხელი ბოლშევიზმის დიადი ხელოვნების შექმნას—ვერ აუვლის გვერდს დიალექტიურ მატერიალისტურ მეთოდით შეიარაღებას, მწერლობაში ბოლშევიკური პარტიულობის პრინციპის დაცვას, რაც საბოლოო ანგარიშში ნიშნავს მწერლის ახალი ტიპისათვის ბრძოლას.

სცდება ის, ვინც ფიქრობს, რომ თანამედროვე ლიტერატურის ძირითადი საკითხი თითქოს კლასიკოსების პრობლემა იყოს, ან და კლასიკოსებთან თანასწორობის საკითხი. ეხლა საკითხი მდგომარეობს იმაში, რომ მწერალი იყოს მებრძოლი, მატერიალისტ-დიალექტიკოსი, რომ მისთვის არა ჟანრი განსაზღვრავდეს მეთოდს, არამედ მეთოდი წარმოადგენდეს მსოფლმხედველობას და ბოლშევიკური იდეურობიდან გამოსავალ წერტილს; რომ ის არა მარტო ახალი მასალის გამოტანით კმაყოფილდებოდეს, არამედ იბრძოდეს ამ მასალისადმი ახალი დამოკიდებულებით და საკითხებს პარტიულობის თვალსაზრისით სჭრიდეს. საგნებისა **და მოვლენების დანახვა** არსებითად არაფერს ნიშნავს. ემპირიზმი არაა პროლეტარულ და მოკავშირე მწერლის შემოქმედებითი გზა, არამედ ის წარმოადგენს წვრილ ბურჟუაზიულ მწერლის გზაჯვარედინს.

პროლეტარული მწერლობა არა ჭვრეტისა და გულუბრყვილო რეალიზმის მწერლობაა, არამედ მუშათა კლასის ისტორიულ ბრძოლაში მონაწილე აქტიური ძალა. შემოქმედებითი დისკუსია არა დეკლარატიულობის შირმაა, არამედ უპირველეს ყოვლისა იგი წარმოადგენს შემოქმედებითი პრაქტიკას დიალექტიურ-მატერიალისტური მსოფმხედველობის ღრმა და ფართო ფასების ნიადაგზე, იგი წარმოადგენს ცალისტურ მშენებლობაში რეალუ მონაწილეობის შემოწმების ფორმას.

მწერალი, რომელიც ვერ შესძლებს დ ლექტიურ მატერიალისტური მეთოდის ნ დაგზე მუშაობას, ვერ შესძლებს დიალ ტიურ აზროვნებას, ხელს ვერ შეუწყ ჩვენი დღევის მწერლობის უდიდესი ბლემების—ოლშევიზმის დიადი ხელ ბის შექმნის საქმეს, რადგან ამ პრობლ ბის ისეთი მხარე, როგორიცაა ხუთწლედის გმირის ჩვენება, ყოვლად უძლებელია დიალექტიურ - მატერიალ ტური მსოფლმხედველობის გარეშე. წ აღმდეგ შემთხვევაში არ შეიძლება ად ლი არ ჰქონდეს იდეალისტურ შეცდომ „ლაკიროვკა", უშუალო შთაბეჭდილ მეცავ-ემპირიზმი.

ბოლშევიზმის დიადი ხელოვნების შ ნის საქმეში ემპირიზმი უსათუოდ ერთი შემაფერხებელი ძალაა, რომ ნაც ნაპოსტოველურ კრიტიკას მომავა არა მცირე ბრძოლების წარმოება მ დება. რომ შემოქმედებითი დისკუსიის ცილებლობა დიდია, ამას დღეს ყოვ აქტიურად მომქმედი მწერალი გრძ ამასვე ამტკიცებს კონკრეტიული კრ კისათვის წარმოებული ბრძოლა, რომელ ადგილი აქვს რუსულ პროლეტარულ კ ტიკაში.

კონკრეტული კრიტიკა შემოქმედები დისკუსიის უცილებელი პირობაა, რა უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურად ბა ჩვენში, სადაც შემოქმედებითი დის სია ჯერ კიდევ ვერ გასცილებია ვიწ ფრაქციულ ჩიკიდელაობას და ისევ ლ ტერატურულ აბდა-უბდას რკალში ტრი ლებს (მაგ., ბ. ბენაშვილის ბროშ ანდა ფადეევისა და ბეზიმენსკის შემო დებითი საკითხებს ტკეპნის, მაშინ, რ ქართული პროლეტარული ლიტერატ სინამდვილე არა ნაკლებ მასალას იძლ დისკუსიისათვის.

დროა ფართოდ გაიშალოს შემოქმედები დისკუსია, დაიწყოს ბრძოლა კონკრეტიუ კრიტიკისათვის და მარქსისტულ-ლენინ ეტაპისათვის ლიტერატურის მეთოდოლ გიაში.

დისკუსიაში მონაწილეობა უნდა მიი არა მარტო პროლეტარულმა მწერლო არამედ თანამგზავრებმაც, ვინაიდან თა გზავრობის მოკავშირეობისაკენ გადაყ დიალექტიურ-მატერიალისტურ მეთოდი ვის ბრძოლის გზით უნდა მოხდეს. ამ გ გამოირკვევა არა ერთი და ორი მწერ მდგომარეობა და პოზიცია. ამ გზით იქ შესაძლებელი ბოლშევიზმის დიადი ხე ვნებისათვის ნამდვილი ბრძოლა პრ რულ ლიტერატურაში.

მიხ. ჩიქოვანი

შირაქის ნავთი

მინდვრის ფერგადაკრული ალაზნის ველი აღარ ჩანს. ის უკან, ცივგომბორის გადაღმა დარჩა. უწყლო ხევით მივდივართ მთაზე. გვინდა მალე გადავიაროთ ბუჩქნარ გადაკრული გორაკი. ხევში მაღლობებიდან ჩამოჩურული ღელე მოდის. პატარა. ეტყობა ავდარში დიდი მომატება იცის, მორიყული ნაპირები ფართო აქვს. სოფლის მდინარეზე ქიზიყელ გლეხებს ჩარხის წისქვილები უდგიათ.

მივსდევთ ხევს და ბოლოს მბრუნავი ჩარხებიც გამოილია. აღარც ჭაჭის არაყის სახდელი „ქარხნები“ გვხვდება. იცვლება მიდამო. თვალწინ გოხის ფართო სახნავი მინდვრები იშლება. აქა-იქ ველებზე გუთნეული ავლებს ხაზებს.

მთაზე აცულებს თავმოკვეთილ გორაკებში არეული მინდვრები გადაგვეშალა. მარცხნივ, გომბორის აღმოსავლეთისაკენ გაგრძელებული კუდი წევს. ტიტველი, ცხვირ წამოწვდილი კლდეები ესარჩლებიან ბალახით მოფენილ საძოვრებს. მარჯვნივ გოხის ბოძალი წვერები, შუაზე თეთრყურმიში. სოფელი, რომელსაც ინდუსტრიამ ახლა ხან გაუწოდა ხელი. წითელი წყარო არის მისი მეორე სახელი. მოსახლეობა ჯგუფ-ჯგუფად გაფანტულა ფერდობზე. ცხოვრობენ ქართველი გლეხები, რუსები. სომხები. ერთ ადგილზე ტრაქტორების და გუთნების სადგურია.

შირაქისაკენ წითელ-წყაროდან ჯერეთ დაუმთავრებელი გზატკეცილი მიდის. აქა-იქ მუშები მიწას თხრიან საგზეურზე. სატვირთო მანქანა მძიმედ აგორებს თვლებს. თეთრი ხრეშიც მახლობლად ითხრება და მით მოკეპული გზა პატარა შირაქის ველზე მდინარესავით იგრიხება.

მივალთ უდაბნოში, შორდებით ტყის ზოლებს და იმალებით უხეშ-ეკლიან ბალახებში.

ჩვენ წითლიდან მესამე გორაკზე გადავაბოტეთ. დაღმართზე, რომ დავეშვით მარცხნივ დანისლულ ველის თავზე ორი კოშკი გამოჩნდა.

— პატარა შირაქის საცდელი ბურღებია! —ამბობენ ამხანაგები. ფეხი ნავთიან მიდამოებში შევდგით. წინ ვულკანური წარმოშობის ტიტველი მწვერვალებია. მათ უკან იფარება შირაქის ნავთის მთავარი სამუშაოები, სადაც ათეული საცდელი ჭაბურღილი ქვესკნელში აზრიალებს ხელებს და ნავთის მდინარის ამოსახეთქ გზას ამზადებს. გზაზე ორი თუ სამი საცდელად ამოთხრილი ჭა ვნახეთ. ერთში ჯოგს დარჩენილი ჰედილა ეგდო. ხმელ ბალახ გადაფარებულ ორმოს მიუტყუილებია ცხვარი. მის ჩავარდნაზე მეცხვარეს არაფერი გაუგია და უპატრონოთ დარჩა კოლექტივს [illegible] ორი წვერი.

[illegible]ტა მანძილი და მიზანი გამოჩნდება. შირაქის ნავთის გული. პირველი ძირითადი ბურღები შირაქში.

შეფიცრულ კოშკებს წრე გაუშლიათ. გაფანტულან ბორცვიან მინდორში. აზარმაცებსავით ამართულნი ამაყად გადმოყურებენ იქაურობას. ოთხკუთხი ფეხებით ისე გაბადრულან, რომ მიწის გულის ამოგლეჯას ლამობენ.

ახალი მოსახლეობა ზეგანზე გაუშენებიათ. პატარა უბანი, რომელიც ექვსსამდე [illegible] ცხოვრებს იტევს, სიცოცხლით სავსე [illegible] ჰქმულ დაუსახლებელ ველებში.

მხოლოდ აქაა მაჯის ცემა; მუშური სუნთქვა და მანქანის ხმა. სხვაგან უკაცური სერები, გატიტვლებული სათიბები, ზოგან ცხვრის ფარა დაბანაკებულა საზამთროთ. პატარა შირაქის მხარეზე ცეცხლის ფრონტია გაშლილი. იწვის ხმელი სათიბი და კვამლი ნისლს უერთდება.

კაცი, რომელიც შირაქის ნავთის საცდელი სამუშაოების ამ უბანს განაგებს მეოცე ჭა-ბურღილთან ვიპოვეთ დაბალი, ხელებ გაშავებული და სამუშაოდ გამოწყობილი. მისი სახე ხანში შესულობას მოწმობს, დანაოჭებული შუბლი და საქმიანი გამოხედვა.

ამხ. **კერესელიძე**, ახალ დამთავრებულ ჭიდან მანქანების გადატანას ხელმძღვანელობდა. ეს ჭა სულ ოთხი დღეა მოთავდა. ნავთიანი ფენა გავჭერით. შადრევანმა ამოხეთქა, მალე სექსპლოატაციოთაც გამოდგება, თუ შადრევანს ამოსაქაჩავის მოწყობამდე კიდევ გაიმეორებს—მაშინ აქვე მოწყობილ აუზში დავაგროვებთ გაუწმენდავ ნავთს;—გვეუბნება ის. ახლა კოშკის მოწყობილობა სხვაგან გადააქვთ. ათასძალიანი ტრაქტორი უკან დაუხევლად თხრის ღრმად ჩარგულ ბოძებს და ალმა მიათრევს. შეუდარებელია მისი სიმძლავრე ამ მუშაობაში.

ნავთის საცდელი მუშაობის წარმატებით დაწინაურებული მუშა გახარებულია, უნდა ყველაფერი გვითხრას, წარმოგვიდგინოს სურათი იმ წარმოებისა, რომელსაც უდავოდ დიდი მომავალი უღიმის. თუმცა კერესელიძე სიტყვაში მაინც ძუნწობს და დროს უფრთხილდება.

1930 წლის იანვარში ჩამოყალიბდა საქართველოს ნავთის ტრესტი. მეორე ნახევარში აიგო—2; 3; 4; 5; 6; 8—საბურღი კოშკები. ბელგიელების მიერ ნაწყებული ჭა 500 მეტრამდე იქნა დაყვანილი. 270 მეტრზე მეორეთ ჭამ ნავთი მოგვცა. ახლა მეოცე მოთავდა. მეექვსე კი დღეში ორიათასამდე ფუთს მოგვცემს სისტემატიურად რომ ვამუშაოთ—მხიარული ტონით გვიამბობს ინჟინერი აბესაძე. ახალგაზრდა მებრძოლი აღფრთოვანებულია ცდების შედეგებით. დიდია სიხარული. აქ ნავთის ნიშნებს ოცდა ათი წლის წინადაც ამჩნევდენ. ბევრმა კაპიტალისტმა მოსინჯა ველი, მაგრამ ვერც ერთმა ვერ მიაღწია საწადელს. მხოლოდ მუშათა კლასის ენტუზიაზმს შესწევს ძალა შექმნას ასეთი დიადი წარმოება.

საკუთარი ნავთით ვაკმაყოფილებთ ჩვენს წარმოებას. სახელოსნოები, მანქანები, ტრაქტორები და ელსადგური საწვავ მასალათ ჩვენს მიერ ამოღებულ ნავთს ხმარობენ. მომავალში ნავთის საწმენდი ქარხანა უნდა ავაგოთ.

მეცნიერების გამოკვლევით ამ მიდამოებში 36-ამდე გეოლოგიური ფენაა, ამათგან ჯერ 10 თუა გაჭრილი. უღრმესი ჭა 854 მეტრს უდრის. დაკვრითი მუშაობა მიდის რომ 1500 მეტრამდე დავიდეს ბურღი. აკადემიკოსმა **ბურკინმა** გასინჯა მე-13 ჭა და ამ აზრს დაადგა: 14 ჭა-ბურღილი საბოლოოდ გამოარკვევს ნავთის ფართობს ამ ადგილებში. აქამდე თუ დარტყმითი სისტემის ბურღვა იყო, ახლა ბრუნვითი წესის ბურღვაზე გადავედით. ამით შრომის ნაყოფიერება გაიზრდება და ჭებიც უფრო კარგი იქნება,—გვიხსნის ინჟ. აბესაძე.

ჭებს ზოგჯერ მუშაობის შეჩერება უხდება. მიზეზი: მილების და სხვა რკინეული მასალის უქონლობაა. „აზნავთი“ და „სოიუზნავთი“ ვერ გვამარაგებს დროზე. ზოგჯერ ძველ უვარგის იარაღებს აგზავნიან.

მალე რამდენიმე ჭა სექსპლოატაციოდ დაიწყებს მუშაობას. მეექვსემ წუხელის შადრევანი დაარტყა. ნავთის ხარისხი კარგია. მსუბუქი და ბენზინიანი. ბაქოს ნავთზე უმჯობესია არა ნაკლები 18 პროც. დავდივართ ჭებზე. მაღალი კოშკები მძიმედ ატრიალებენ ბურღებს და ქაქანობს მანქანა, რომელიც შირაქს გულში უჯრის წვეტიან ფოლადის ისარს.

მეთექვსმეტე კოშკი, ახლად დამთავრებულია. ბურღვას მალე დაიწყებენ. აქ ყველა კომკავშირელები მუშაობენ, ახალგაზრდა ენტუზიასტები, ნავთისათვის მებრძოლნი. ჭა-ბურღილს კომკავშირის სახელი აქვს. ისინი დაკვრითი ტემპით მუშაობენ. აქ არიან დამკვრელები: მირიანაშვილი, ბალაშვილი, ჭეიშვილი, ლორთქიფანიძე.

მეთექვსმეტე კოშკის ქვემოდ, ხევში მეორე ნომერია. გამურული ჭა, თავისი კოშკით. ჭის ირგვლივ ნავთით გაჟღენთილი ფენებია. მილი, რომელიც ასეულ მეტრზეა ჩარგული მიწაში, შავი სითხითაა სავსე. გადმოღვრილი ნავთი იქვე აუზში გროვდება.

შირაქის ნავთის წარმოებაში გეგმის შესრულების მხრივ გარღვევაა. ოქტომბრის გეგმა 55 პროც. შესრულდა. ვერ დასძლიეს სიძნელეები, რომელიც წინ აღუდგა ახლად ფეხადგმულ წარმოებას.

ბელადის მითითებები არაა ჯერ ცხოვრებაში გატარებული.

— მუშათა ცვალებადობა მუდმივია. ყოველ ხელფასის დარიგებაზე 15-20 მუშა იღებს ანგარიშს და მიდის. ეს დიდ დაბრკოლებას უქმნის წარმოებას,—ამბობს შირაქის პირველი მებურღეთაგანი ამხ. **ალახვერდოვი**, ბაქოს ნავთის გამოცდილი მუშა.

დაგვიანება, სამუშაოზე არ გამოცხადება, შრომის დისციპლინის სისუსტე, ყველა ესენი ხშირია. პროფკავშირი სუსტად მუშაობს.

— სამეურნეო ანგარიში ჯერ არ იციან ჭაბურღილებმა!—ამბობს ინჟინერი. საკუთარ ანგარიშზე ყოფნა ამტკიცებს დისციპლინას. სწევს წარმოებითი უნარიანობას. ამაზე ტრესტი ნაკლებად ზრუნავს. ყოველ შემთხვევაში აგვიანებს სამეურნეო ანგარიშზე გადასვლას.

არაა კარგათ მოწესრიგებული მუშათა მომარაგება, კოოპერატიული მოხმარება, ბინები ცივია. 500 მუშა ნავთზე მუშაობს და აბანო ჯერ არ აუშენებიათ.

ამხ. სტალინმა ხაზი გაუსვა მუშათა ყოფა-ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას. ეს დავალება საჩქარო შესრულებას მოითხოვს შირაქში.

ბაქოს პროლეტარებმა შირაქში გადმოასროლა კვალიფიციური მუშები. ბაქოელი მებრძოლები ხელმძღვანელობენ ძირითად სამუშაოების შესრულებას. მათ ხელში ხდება მახლობელ კოლმეურნეობებიდან მისულ მუშა-ხელის პროლეტარულ სულით გაჟღენთვა.—კულტმუშაობა ძალზე სუსტია,— გაცხარებით ამბობს ამხ. აბგარი,— აბა გასინჯეთ, 20 ივნისში გამოვიწერე გაზ. „ვიშკა“ და დღემდე არ მომსვლია. ჩვეულებრივ გაზეთები ორ კვირაზე მეტს აგვიანებენ. უგაზეთოთ მოწყვეტილი ვართ ყოველდღიურ ცხოვრებას, კინო ხომ დაგვავიწყდა!

შირაქის გმირები იბრძვიან, ჰქმნიან სრულიად ახალ გიგანტს, რომ სოციალისტურ ქვეყანას მისცენ ნავთი. თავდადებულ ბრძოლაში ისინი შეუბრალებელი თვითკრიტიკით ამხელენ ყოველგვარ ნაკლს და მოითხოვენ მის გამოსწორებას.

მალე შირაქიდან დაიძვრებიან ნავთის ცისტერნები და მოეფინებიან მთელ ქვეყანას. მაშინ აზერბეიჯანის ნავთის მხარს მისცემს საქართველოს ნავთი.

გ. ნატროშვილი

იდეალიზმის ნარჩენების გამოცოცხლება

დიალექტურ მატერიალიზმის ახალი, ლენინური ეტაპი სრულიად განსხვავებულ ამოცანებს აყენებს ლიტერატურის მეთოდოლოგიის და მისი პრაქტიკის—ლიტერატურული კრიტიკის წინაშე. ხელოვნების თეორიული პრობლემების გარკვევა და ამასთან ერთად ლიტერატურის მეცნიერების ჩამოყალიბება ლენინურ მატერიალისტურ დიალექტიკის პრინციპების მიხედვით წარმოადგენს ურთულეს ამოცანას, რომელსაც აყენებენ სოციალისტური რეკონსტრუქციის მოთხოვნილებანი და პროლეტარულ ლიტერატურის მხატვრული პრაქტიკა. მარქსისტულ ლიტერატურის მცოდნეობამ გზა უნდა გაუხსნას ახალი ლიტერატურის აზვირთებულ ნაკადებს, რომელნიც სოციალიზმის ზრდასთან ერთად იზრდებიან, ემსახურებიან მის ყოველდღიურ პრაქტიკას და მხატვრულად გადმოგვცემენ ეპოქის იდეოლოგიას და ფსიქოლოგიას.

აქედან ცხადია, რომ ჩვენ სასტიკი ბრძოლა უნდა განვაგრძოთ მარქსიზმის ყოველგვარ მექანისტურ, იდეალისტურ და ეკლექტიკურ დამახინჯების წინააღმდეგ. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ის გარემოება, **რომ იდეალიზმი დღეს** თავს იჩენს არა მარტო ფილოსოფიის ფრონტზე, არამედ იგი ლიტერატურის მეთოდოლოგიის გზითაც ცდილობს ფონზე გასვლას. იდეალისტები უკანასკნელ ხანებში უფრო მეტი ინტერესით ეკიდებიან ხელოვნების ფრონტს და ცდილობენ თავისი რეაქციონური მსოფლმხედველობის გამართლებას. ამ მხრივ აღსანიშნავია **ს. დანელიას** წიგნი „О философии Грибоедова“.

დანელია ცნობილი ეკლექტიკოსია, არც ისე დიდი ხნის წინეთ იგი „ამტკიცებდა“, რომ **„სინდისი არის ის დუღაბი, ურომლისოდ ისტორიის კოშკი არ შენდება...** ქართველებს არ გვქონდა სიტყვა „სინდისიც“, „სინდისი“ ბერძნული სიტყვაა, ქართველებს იგი სხვებისაგან უსესხებია, **ნასესხები სინდისით კი ისტორია არ შეიქმნება...** ქართველთა მიერ აშენებული კოშკიც ყოველთვის ინგრეოდა“.. და სხ. ნათელია, რომ ჩვენ საქმე გვაქვს წმინდა წყლის იდეალისტთან, რომელსაც ისტორიის მამოძრავებელ ძალათ მიაჩნია არა საწარმოო ძალები და კლასთა ურთიერთობა, არამედ სინდისი, ეს პირდაპირ თავზე ხელაღებული იდეალიზმია. „ვაჟას პოეზია აპოლიტიკურია... ყველამ ვიცით, რომ ქართველი ინდივიდუალისტია“. სწერდა ს. დანელია, და ამ მხრივ იგი მთლიანად სდგება რეაქციონური მსოფლმხედველობის საფუძვლებზე. დანელიას იდეალიზმი საკმაოდაა გახმაურებული მის უკანასკნელ წიგნში. გრიბოედოვის შესახებ..

ამ წიგნში დანელიას სრულიად არ „აინტერესებს“ გრიბოედოვის შემოქმედების კლასიურ-პოლიტიკური საფუძვლები. დიალექტიკის კატეგორიები მას წარმოდგენილი აქვს აბსტრაქტიული სახით, ე. ი. მოწყვეტილი ყოველგვარ ემპირიულ სინამდვილეს. ეს ფრიად დამახასიათებელია იდეალისტისათვის. დანელია წინასწარ ამბობს, რომ გრიბოედოვის ცნობილი პიესის შექმნა წინ უსწრებდა რუსულ საზოგადოებაში გერმნულ იდეალიზმის გავრცელების ეპოქას. „ამიტომ—დაასკვნის დანელია— მსოფლმხედველობა გრიბოედოვისა, რამდენადაც იგი გამოიხატა მის მხატვრულ შემოქმედებაში, არ იყო განაყოფიერებული დიალექტიური ფილოსოფიით... **პიესისათვის უცხოა დიალექტიური სინთეზის ცნება, ანუ წინააღმდეგობათა შერიგება** (რასაკვირველია იგულისხმება არა მხატვრული, არამედ ფილოსოფიური სინთეზი). (იხ. აღ. წ. გვ., 111-120).

როგორც ვხედავთ, დანელიას დიალექტიკა წარმოდგენილი აქვს, როგორც წინააღმდეგობათა შერიგება. ეს აზრი დანელიას ორიგინალური აღმოჩენა არ არის. ყოველგვარი ეკლექტიზმის გამოსავალ პუნქტს წარმოადგენს სხვადასხვა სისტემების ნაძალადევი შეერთება, მებრძოლ წინააღმდეგობათა შერიგების ცდა და არა მათი დაძლევა. მეორე ინტერნაციონალის მარქსიზმი მთლიანად ეყრდნობა წინააღმდეგობათა შერიგების თეზისზე, რაც პრაქტიკაში შემთანხმებლობას და ოპორტუნიზმს უდრის. დანელიას წინააღმდეგობათა შერიგება იდეალისტური დიალექტიკაა. ამ თვალსაზრისს მივყევართ კლასიური ზავის, ბურჟუაზიის და პროლეტარიატის შერიგების თეორიამდე. დანელიას აზრით გრიბოედოვის პიესაში იმიტომ არაა დიალექტიკა, რომ ჩაცკი და ფამუსოვი იბრძვიან, სცილდებიან, განსხვავდებიან და პიესაში არ არის ისეთი წერტილი, სადაც ეს ორი წინააღმდეგობა შეურიგდეს ერთი-მეორეს.

„...ჩვენი აზრით „ვაი ჭკუისაგან“ არც ისე ახლო სდგას ნაციონალიზმთან **ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით.** მართალია პიესის წარმოდგენით „სამშობლოს კვამლიც კი ტკბილია და სასიამოვნოა“, მაგრამ ამ ლექსით გამოხატული დამოკიდებულება სამშობლოსთან დამყარებულია მხოლოდ გრძნობელობაზე. სიტყვები: „ტკბილი“ და „სასიამოვნო“ საკმაოდ ნათლად ლაპარაკობენ ამის შესახებ, ვინაიდან ტკბილი და სასიამოვნო შეიძლება იყოს მხოლოდ გრძნობითი, ემპირიული საგანი. და აქ ჩვენს წინაშეა არა უბრალო მეტაფორა, არამედ საკმაოდ ზუსტი გამოთქმა პიესის დამოკიდებულებისა სამშობლოსთან. ეს არის ბუნებრივი მიდრეკილება დაბადების ადგილთან, ან **სამშობლოსთან**. მთელი თავისი გეოგრაფიული, ეტნოგრაფიული და ზოგჯერ **პოლიტიკური** თავისებურობით“.

შემდეგ დანელია განაგრძობს: „ძნელია ასეთ **გრძნობას** დამყარებულს ადამიანის ფსიქოფიზიკურ ორგანიზაციაზე ვუწოდოთ ნაციონალიზმი, ვინაიდან ნაციონალიზმი თავისი რაობით განსაზღვრავს მიმართებას, რომლის საგანია არა ემპირიული სამშობლო, **არამედ სამშობლოს ცნება, რომელსაც ვერ მოუსწრია სავსებით გამოვლენა კონკრეტიულ, გრძნობითი — შესახებ ფორმაში**“ (იხ. იქვე გვ. —4-115).

მოყვანილ ამონაწერში კონცენტრა[illegible]ჰქნილია ერთის მხრივ დანელიას ნაციონალისტური მსოფლმხედველობა, ხოლო მეორეს მხრივ რეაქციონური იდეალიზმი. ამ მოსაზრებათა ნაციონალისტური ხასიათი უკომენტარიოთაც ნათელია.

დანელია მეტაფიზიკურ მსოფლმხედველობის თვალსაზრისით სთიშავს **ერთი-მეორისაგან კონკრეტულ სინამდვილეს და ცნებას.** მას არ ესმის მატერიალისტური მონიზმი, რომლის მიხედვით ქვეყნის მთლიანობა მის მატერიალობაში მდგომარეობს. დანელია აბსტრაქტულისა და კონკრეტულის ურთიერთობის გაშუქებაში, დებორინის მზგავსად, ჰეგელიანიზმის გზას გაჰყვა, დანელიამ სრულიად ვერ გაიგო მარქსიზმი, რომლის მიხედვით „ცოცხალი განჭვრეტა, ემპირიული მომენტი არის არსებითად აუცილებელი, გარდაუვალი მომენტი კაცობრიობის ისტორიულ შემეცნებაში, ესაა მომენტი, რომელიც უშუალოდ დაკავშირებულია კაცობრიობის ცნობიერებასთან და ობიექტიურ სინამდვილესთან... ემპირიული მომენტი არ შეიძლება იყოს, რაღაც გარეგანი თეორეტიული შემეცნების მიმართ. პირიქით, ის—ბაზაა, ის—ცოცხალი წყარო ყოველგვარი ცნებისა. თუ შეიძ-

(გაგრძელება მე-4 გვ.)

„სალიტერატურო გაზეთმა“ ყოველთვის უნდა ამხილოს საბჭ. მწერალის ესა თუ ის გადახრა, იგი მკაცრად უნდა შეებრძოლოს ასეთ მოვლენებს, მწერლობის რომელ ფლანგზედაც არ უნდა ჩაისახოს ეს მოვლენები, ამხილოს მწერლის შეცდომები და ხელი შეუწყოს მწერალს ამ შეცდომების დაძლევაში,—ასე წერს **ნ. მიწიშვილი** თავის წერილში „სალიტერატურო გაზეთის“ პირველ ნომერში.

კ. მელაძე

მემარჯვენე ტენდენციების წინააღმდეგ

(ნ. მიწიშვილის წერილის გამო)

ჭეშმარიტებაა, სრული სიმართლეა, არავითარი სადაო აქ ნ. მიწიშვილთან ჩვენ არ გვაქვს. თითქოს ჩვენს შორის ყველაფერი მოწესრიგებულია და მიწიშვილის წერილიც „საბჭოთა მწერლობის ახალი ამოცანები“— ვითომდაც სახავს ახალ „საპერსპექტივო გზებს მწერლობისათვის. ჩვენი განსხვავება და უთანხმოება სწორედ აქედან იწყება.

მიწიშვილის ზემომოყვანილი ციტატა ძირითადში მთლიანად ეწინააღმდეგება მის წერილში გატარებულ აზრს. აღნიშნული წერილით მიწიშვილმა ერთხელ კიდევ მოახდინა თავისი ძველი განწყობილებების მძლავრი დემონსტრაცია.

მისი წერილი მთლიანად ყალბი დებულებებისა და თეორიების ნაწყობს წარმოადგენს. მიწიშვილი აღნიშნულ წერილით გამძაფრებული კლასობრივი ბრძოლის პერიოდში ქადაგებს კლასობრივ ზავს და მიგვითითებს „ჰუმანისტური“ ინტელიგენციის მაგალითისაკენ. წერილში საკითხების დაყენება ძირითადად შემცდარია.

აღნიშნული წერილი ვერავითარ ახალ ამოცანებს ვერ უსახავს საბჭოთა მწერლებს, პირიქით, ამწელებს ამ ამოცანებს. მისი დებულებები აშკარა მემარჯვენე დებულებებია, რომელთაც ჩვენს საბრძოლო ამოცანებთან საერთო არაფერი აქვთ, ვინაიდან აღნიშნულ წერილში იგი ისევ ძველად [illegible] გადაღეჭილ დებულებებს იმეორებს და ისევ ძველ გზას ტკეპნის.

ყველა მწერლისათვის უდავო და ჭეშმარიტი დებულებები მიწიშვილისათვის გაუგებარია, უკეთ რომ ვთქვათ, არ სურს გაიგოს, ძალად დაბრმავებულს სურს უცქიროს იმ გრანდიოზულ საკითხებს, რომელიც დღეს მართლაც დგას საბჭოთა მწერლობის წინაშე. მიწიშვილის გაგებით საბჭოთა მწერლობის მთავარ საბრძოლო ამოცანას უნდა წარმოადგენდეს ეროვნული კულტურისათვის ბრძოლა... ეს არის და ეგ, დანარჩენი არაფერი. მიწიშვილმა საბჭოთა მწერლობა სრულიად მოწყვიტა მიმდინარე პოლიტიკას და კლასიური ზავის ქადაგებას შეუდგა.

როგორ ფიქრობთ, ამხ. მიწიშვილო, დღეს მწერლობის გათიშვა შეძლება მიმდინარე პოლიტიკური მომენტებიდან? ეს ხომ ბურჟუაზიული ზღაპარია, რომლის დამცველადაც გამოდის მიწიშვილი.

მიწიშვილი ძალიან წუხს და ჯავრობს იმის შესახებ, რომ დღეს ხელოვნებაში კლასობრივ პრინციპს ეძებენ. აი რას წერს იგი: „მწერალსა და მწერლობას ეცლება დღეს ძველი შინაარსი. რა არის დღეს მწერლობა? ეს კითხვა არაა მარტო პროფესიული ინტერესების ამბავი. უეჭველია, დღევანდელი მწერლობა უნდა შესდგებოდეს იმავე ელემენტებისაგან, რომელიც ახასიათებდა ლიტერატურო ხელოვნებას ყოველ დროს, მაგრამ აქვე ისეთნაირად მახვილდება ხელოვნების ერთ-ერთი შემადგენელი ელემენტი, რომ ზოგჯერ ეს ერთი ფარავს ყველა დანარჩენ თვისებებს: ესაა ხაზგასმული კლასიური მომენტი“.

ხედავთ, როგორ ლაპარაკობს და როგორ წუხს მიწიშვილი, კლასიური პრინციპით შეშინებული! მისი გაგებით, კლასიურობა წარსულში ხელოვნების ერთ-ერთი შემადგენელი ელემენტი იყო, დღეს კი ის ყველაფერს ფარავს. რას ნიშნავს ეს? ეს ნიშნავს მას, რომ ნ. მიწიშვილი ვერ ეთვისებს დღეს ხელოვნების კლასიურობას. რას ნიშნავს, თუ არა აშკარა დაბნეულობას და უცოდინარობას, რომ მიწიშვილს კლასიურობა ხელოვნების ერთ-ერთ შემადგენელ ელემენტად მიაჩნია. ნ. მიწიშვილს უნდა გაეგებოდეს ის ფაქტი, რომ კლასიურობა ყოველი ეპოქის ხელოვნებაში ძირითად და გადამწყვეტ როლს თამაშობდა ხელოვნების და, საერთოდ, ლიტერატურის ისტორიას არ ახსოვს ისეთი მაგალითი, როდესაც კლასიურობა ლიტერატურაში მთავარი არ ყოფილიყოს. დღეს კი თურმე კლასიურობამ ჩაყლაპა ყველაფერი, კლასიურობამ დაჩრდილა „წმინდა“ ხელოვნების სასახლეები. მიწიშვილს უნდა მოეხსენებოდეს, რომ გამარჯვებულმა პროლეტარიატმა დიდი ხანია რაც ააფეთქა, დაანგრია და მიწასთან გაასწორა „წმინდა“ ხელოვნების ტაძრები.

მიწიშვილი ზემოაღნიშნულით არ კმაყოფილდება. იგი გზადაგზა დროგამოშვებით გვახსენებს კლასიურობას, მაგრამ მალე ჩუმდება და პატარა პაუზის შემდეგ ხმის მთელი სიძლიერით, იწყებს: „პროლეტარული დიქტატურის მეთოთხმეტე წელს ჩვენ უკვე გარკვეულად უნდა მოვითხოვოთ მწერლისაგან წმინდა პოლიტიკური მომენტის გარდა, მხატვრული კლასიფიკაციაც. რასაკვირველია, პროლეტარული კლასიური იდეოლოგიით სავსებით გამართული მხატვრული ფაქტის მოცემა მეტად ძნელია, მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ, რადგან ეს ძნელია, ამიტომ მხატვრულ შემოქმედებით ფაქტად გამოცხადდეს ყოველგვარი ნაწარმოები, სავსე თუნდაც მარტო იდეოლოგიურად გამართული ფრაზით“. რათ სჭირდება მიწიშვილს საკითხის ასე დაყენება, როდესაც საკითხს ამგვარად არავინ არ აყენებს? მას ეს მისთვის სჭირდება, რომ გარკვევით თქვას—პოლიტიკისა და მხატვრულობის შეთავსება დღეს შეუძლებელიაო. „პროლეტარულ-კლასიური იდეოლოგიით სავსებით გამართული მხატვრული ფაქტის მოცემა მეტად ძნელია“. რატომ, რისთვის,, რომელი საბუთით? აი, კითხვები, რომელსაც შეგნებით გვერდს უვლის ნ. მიწიშვილი. თუ რომ ბურჟუაზიულ კლასიური იდეოლოგიის სავსებით მოცემა შეიძლება, რატომ დღევანდელ პერიოდში პროლეტარული კლასიური იდეოლოგიის მოცემა არ შეიძლება? მაგრამ ეს იმას ნიშნავს, რომ მიწიშვილს სურს მწერლობა ჩამოაცილოს დღევანდელ პოლიტიკურ მომენტებს და გვერდი აუქციოს იმ საჭირბოროტო და აქტუალურ საკითხებს, რომელსაც დღევანდელობა აყენებს ყოველი საბჭოთა მწერლის წინაშე.

სწორედ ამ გარემოებით აიხსნება ის მდგომარეობა, რომ მიწიშვილს მკითხველის ყურადღება „ჰუმანისტურ“ ინტელიგენციაზე გადააქვს. რას ნიშნავს „ჰუმანისტური“ ინტელიგენცია? როდის ან რომელ [illegible]ოდს ახსოვს, რომ ინტელიგენცია [illegible]ტური“ ყოფილიყო? ეს ხომ [illegible] რომ ინტელიგენცია ჩამოვაცილ[illegible]ლიმე კლასს და მის კლასიურ [illegible] ველოპას! რატომ არის მიწიშვილი გულმავიწყი, რომ მისთვის [illegible] რჩება ინტელიგენციის კლასიურობა? რატომ არის გაუგებარი მიწიშვილისათვის ის უდავო ჭეშმარიტება, რომ ყოველ კლასს თავისი ინტელიგენცია ჰყავს? ან საიდან წარმოშვა და მოიგონა მიწიშვილმა „ჰუმანისტური“ ინტელიგენცია? მიწიშვილის აზრით გამოდის, რომ ჩვენს პირობებში გზას უხშობენ ინტელიგენციას. მაშ რას ნიშნავს ეს გამოთქმა—ძველი „მაღალი კვალიფიკაციის“ ინტელიგენციის მოქმედების ასპარეზი ვიწროვდებაო და ჩვენი ინტელიგენცია კი თურმე სუსტია. რა ვქნათ, როგორ მოვიქცეთ? მიწიშვილის პანიკურ და ისტერიულ ყვირილს თუ დავუჯერებთ, დავლუპულვართ, შევვიბორკავს ძველი ინტელიგენციის აზროვნებისა და მოქმედების ასპარეზი. აქ რატომ ივიწყებს მიწიშვილი ერთ „პატარა“, მაგრამ მნიშვნელოვან გარემოებას, რატომ იღებს იგი მთლიანად ინტელიგენციას? განა კომუნისტურმა პარტიამ ხელი ჰკრა იმ ძველ ინტელიგენტს, რომელიც გულწრფელად ცდილობს ჩვენთან მოსვლას? რატომ ვერ ამჩნევს მიწიშვილი ამ გარემოებას, რატომ ვერ გრძნობს იმ დიფერენციაციას, რომელიც მოხდა ინტელიგენციაში? ცხადია, ძველ ინტელიგენტს, რომელსაც დღეს არაფერი არ სწამს საბჭოთა ხელისუფლების და ყოველ ფეხის ნაბიჯზე შხამს ანთხევს ჩვენ დასაგესლავად, არ მივცემთ თავისუფალი თარეშის უფლებას. რათ დასჭირდა მიწიშვილს თანამგზავრული ინტელიგენციისა და ინტელიგენციის რეაქციონური ფრთის გაიგივება და რათ სჭირდება, რომ ის ზომები, რომელსაც ჩვენ ინტელიგენციის რეაქციონური ფრთის წინააღმდეგ მივმართავთ, ინტელიგენციის თანამგზავრულ ნაწილზეც გაავრცელოს თუ არა იმიტომ, რომ... „მწერლობაც ასეთსავე რკალშია მოქცეული“ (როგორც ინტელიგენცია. კ. მ.)—ასკვნის მიწიშვილი.

მიწიშვილისათვის ინტელიგენციის საკითხი გადაუჭრელია და ამბობს: „თუ ინტელიგენციის საკითხი, ასე თუ ისე წყდება და ჩვენში უკვე საკმაოდ მოიპოვება ახალ იდეოლოგიურ ღირებულებათა შემქმნელი პროლეტარული ძალები, თუ კერძოდ ტექნიკური ინტელიგენციის კითხვა დღითი-დღე ჰკარგავს თავის სიმძაფრეს“... რას ნიშნავს „ასე თუ ისე“-ს ფილოსოფია, რომელსაც ნ. მიწიშვილი აყენებს? რატომ „ასე თუ ისე“ და რატომ არ უნდა ვთქვათ გაბედულად, რომ ინტელიგენციის საკითხი კომუნისტური პარტიის მიერ გადაჭრილია? რატომ დაეჭვებით უნდა ვუცქერდეთ ამ საკითხს, როგორც ნ. მიწიშვილი სჩადის? [illegible] თავის სიმძაფრეს? [illegible] ამოიკითხა მიწიშვილმა ასეთი „სიბრძნე“? რატომ დაავიწყდა ნ. მიწიშვილს პარტიის განსაკუთრებული ყურადღება ტექნიკური ინტელიგენციისადმი და ამხ. **სტალინის** სიტყვა სამეურნეო მუშაკთა თათბირზე, სადაც ამბობდა: „მუშათა კლასს უნდა ჰყავდეს თავისი ტექნიკური ინტელიგენცია“. თუ სტალინს დაუჯერებთ, ტექნიკური ინტელიგენციის საკითხი დღეს თავის სიმძაფრეს კი არ ჰკარგავს, არამედ მთელი სიმძაფრით დგება ჩვენს წინაშე.

ბოლშევიკები ასე აყენებენ საკითხს. ახლა მიწიშვილის ნებაა—გინდ დაეთანხმოს კომუნისტურ პარტიას და მის ბელადს ამხ. **სტალინს** და გინდ დაუჯეროს იმ თავს, სადაც იბადება ისეთი „სიბრძნე“, როგორიცაა განცხადება იმის შესახებ, რომ „ტექნიკური ინტელიგენციის კითხვა დღითი-დღე ჰკარგავს თავის სიმძაფრეს“. ნ. მიწიშვილი, აქედან გამომდინარე, აბიაბურებს თანამგზავრობას.

მიწიშვილი უარყოფს თანამგზავრობას და უარყოფს იმ ამოცანებს, რომელსაც რეკონსტრუქციის პერიოდი უყენებს მწერლობას. ამ მდგომარეობას მიწიშვილი არ სტოვებს ყურადღების გარეშე და იწყებს მის მტკიცებას, თუ საიდან მოდის ეს გარემოება. იგი წერს: „ეს ითქმის საზოგადოდ, მაგრამ ქართულ სინამდვილეში კი, სადაც ჯერ საერთოდ სუსტია დამოუკიდებელი მხატვ. შემოქმედებითი ძალა, კერძოდ ძალა რევოლ. მხატვრ. შემოქმედებისა, სადაც ჯერ კიდევ ჭირს ძველი დიდმპყრობელური ცენტრალისტური რუსეთის კულტურის გავლენისაგან თავის დაღწევა და საკუთარ ფეხზე დგომა,—მწერლის მდგომარეობა უფრო მძიმე და რთულია“. ვის შესახებ ლაპარაკობს აქ მიწიშვილი? თუ თავისი ჯგუფის შესახებ, ე. ი. ცისფერ ყანწელების საგრძნობ ნაწილზე, მაშინ იგი მართალია, რადგან ძველი ბიუროკრატიული რუსეთის განწყობილებებისაგან ისინი ჯერ მართლაც არ არიან განთავისუფლებული, რაც შეეხება რევოლუციონური მხატვრული შემოქმედების სისუსტეს, ეს სრულიადაც არ ხსნის პასუხისმგებლობას მწერლებს, მაგრამ ზღაპარია ის ამბავი, თითქოს, მიწიშვილის აზრით, ჩვენ იმდენად სუსტნი ვართ, რომ საკუთარ ფეხზე ველარ ვდგებით.

ყოველივე ამით მიწიშვილი უარყოფს თანამგზავრობას და დღევანდელ დღესთან მწერლობის დაკავშირებას. ეს მით უფრო ნათელი იქნება, თუ ამას დავუმატებთ მიწიშვილის წერილიდან შემდეგ სტრიქონებს: „ჩემის ფიქრით, სრულიად მიუღებელი იქნება ხელოვნებაში ისეთი პოლიტიკა, რომელიც გვერდს აუხვევდა ამ გარემოებას და რომელიც მოითხოვდა მწერლისაგან „ან სიკვდილს, ან ცხლავე გამარჯვებას“, ამავე დროს კი თვითონ ვერ შესთავაზებდა ხელოვანს თუნდაც უბრალო იარაღს, რომ ასეთი გამარჯვება დაჩქარებული ყოფილიყო“.

[illegible] თხოვს ნეიტრალობას, არც იქეთ, არც აქეთ. ამ საშუალებით ფონს ვერ გახვალთ. წინააღმდეგ მიწიშვილისა, ჩვენს მწერლობისაგან მოვითხოვთ აირჩიოს ორ გზაში ერთ-ერთი და არა ნეიტრალობას, რადგან ნეიტრალობა ყოვლად საზიზღარი და საძაგელი ფორმაა. ნეიტრალობის თეორიის წამოყენებით ნ. მიწიშვილი მოითხოვს თანამგზავრობის საკითხის მოხსნას დღის წესრიგიდან და მწერლობის განთავისუფლებას იმ საკითხებისაგან, რომელთაც მათ წინაშე აყენებს რეკონსტრუქციის პერიოდი.

პროლეტარულ მწერლობას, როგორც ლიტმოძრაობის ხელმძღვანელს, მიწიშვილის დიაგნოზით, არა აქვს უფლება მწერლობას წაუყენოს დღევანდელობის მძლავრად ათვისების მოთხოვნა და მიუთითოს მწერლებს რაიმე ნაკლზე, რადგან ჩვენ არა გვაქვს ის იარაღი, ის ძალა, რომლითაც დავაჩქარებთ მათი შეცდომების გამოსწორებას. მიწიშვილს თუ დავუჯერებთ, ჩვენ უნდა გავჩერდეთ, საქმე თავისთავად გაკეთდება, ოღონდ თქვენ, პროლეტარული მწერლები, ნუ ჩაერევით მათ „შინაურ“ საქმეებში.

ამ ლოზუნგით გამოვიდა მიწიშვილი „სალიტერატურო გაზეთში“.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ მიწიშვილის წერილი წარმოადგენს ერთ-ერთ საუკეთესო დოკუმენტს იმის დასამტკიცებლად, რომ „ცისფერყანწელთა“ ჯგუფი ჯერ კიდევ არ განიარაღებულა. ისინი ბრძოლას აშკარად თუ მალულად ჯერ კიდევ განაგრძობენ, რის საუკეთესო მაგალითს მიწიშვილის ზემოდასახელებული წერილი წარმოადგენს.

მიწიშვილის წერილს „საბჭოთა მწერლობის ახალი ამოცანები“, შემთხვევით ქვია. იქ არავითარ ახალ ამოცანებს არ აყენებს მიწიშვილი. იგი იმეორებს, ვითომდა ახალ ფორმებში, წარსულ შეცდომებს და ახდენს მათ მძლავრ დემონსტრაციას.

მიწიშვილის წერილი წარმოადგენს მემარჯვენეობის საუკეთესო დოკუმენტს, რომლის წინააღმდეგაც უნდა ვაწარმოოთ ბრძოლა.

ყოველმა საბჭოთა მწერალმა მიწიშვილის აშკარა შემცდარი წერილის წინააღმდეგ ხმა უნდა აღიმაღლოს და სთქვას თავისი სიტყვა.

გერცელ ბააზოვი

„მესამე ინტერნაციონალის“ გლეხები

ორი ნოემბერი ქარიანი დღე იყო. თავლია ეტლი მიგვაქროლებდა მუხრანის ველებისაკენ.

შემთხვევითი მგზავრი ადასტურებ და ფაქტებს:

„მუხრანი დღეს ის აღარ არის, რაც იყო. იქ წინედ თავადიშვილების შიშით კაცი ვერ გაივლიდა. მშრომელები — მონები ვიყავით, ისინი კი ბატონები. ჰხედავთ გარშემოვლებულ გალავანს? ეს პატარა კრემლია. ეს იმათი ციხე-გალავანი და სასახლე იყო. ეხლა კი — შიგ მოთავსებულია ალმასკომი და სხვა საბჭოთა დაწესებულებები. წინედ სხვა და სხვა ერებს ურთიერთზე ალიზიანებდენ, ეხლა მოკვდა ის დრო. მუხრანში 14 კოლმეურნეობაა და ყველა კოლმეურნეობებში შეხმატკბილებით მუშაობენ ყველა ერის მშრომელები. განსაკუთრებული ყურადღების ღირსია — „მესამე ინტერნაციონალი“.

ამჟამად მეც ეს უკანასკნელი მაინტერესებს.

მუხრანში — 34 ებრაელის ოჯახია. აქედან კოლმეურნეობაში გაერთიანებულია — 27 ოჯახი, დანარჩენი შვიდი — დღემდე ეწევიან ხარაზობას.

წინედ, თითქმის ყველანი — წარმოადგენდენ მეწვრიმანეთა მასას.

„მესამე ინტერნაციონალიც“ — ითვლის 34 ოჯახს. დანარჩენი შვიდი — ეს არის სხვა და სხვა ეროვნებათა ხალხი (ქართველი, სომეხი, აისორი, ოსი).

კოლმეურნეობა ჩამოყალიბდა 1930 წ. თებერვალში.

მუხრანში ჩასვლისთანავე თვალში მეცა მამა და შვილი, ორივენი გრძელი წვერებით, ერთი ოთხმოცი წლისა და მეორე — სამოცი წლისა, რომლებთაც მხრებზე მოეკიდათ ტომარა სავსე დარჩეული სიმინდით.

მომაგონდა შემთხვევითი მგზავრის სიტყვები:

„ებრაელებს ველარ იცნობთ, ისინი ის აღარ არიან, რაც წინედ იყვნენ. ეხლა მათ რაიონში საუკეთესო სახელი აქვთ და დანარჩენ გლეხებსაც ძალიან უყვართ „მესამე ინტერნაციონალის“ გლეხები.

მე კმაყოფილი ვარ, როცა თვით დავრწმუნდი ყოველივე ამაში.

მესამე ინტერნაციონალელი გლეხები ლაპარაკობენ ციფრებით.

ეს არ არის მშრალი ციფრები. ეს არის — ახალი ქვეყნისა და ახალი ადამიანების გამარჯვების საუკეთესოდ მეტყველი ამბები.

დღეს კოლექტივის განკარგულებაშია 67 ჰექტარი მიწა. აქედან 22 მიილეს ამ დღეებში, 7 ჰექტ. იყო ჭაობიანი და ჯაგიანი.

38 ჰექტარი კი დამუშავებულ იქნა შემდეგ ნაირად:

1931 წლისათვის დათესილი იყო: სიმინდი — 19 ჰექტარი (გეგმით — 6 ჰექტარი), ხორბალი — 8 ჰექტარი (გეგმით 2 ჰექტარი), ქერი — 4 ჰექტარი (გეგმით 2 ჰექტარი), კართოფილი—2 ჰექტარი, სოიო — 1 ჰექტარი, ბოსტანი — (დათესილი იყო კომბოსტო, ლობიო, კიტრი, პამიდორი, წიწაკა, ჭარხალი, ნიორი) — 3 ჰექტარი, ახალი ხილის ბაღი —1 ჰექტარი.

საგაზაფხულო თესვის კამპანიის გადაჭარბებით ჩატარებისათვის რაიონის მიერ კოლმეურნეობამ მიიღო ჯილდო (გუთნები, ხილის სხმობი და სხვ.).

კოლექტივმა ააგო აგურხანა, სადაც გასულ წელს მუშაობდა 6 კაცი. მოჭრილია 112 ათასი ცალი ალიზი 16000 მ. ღირებულისა.

კოლექტივს აქვს საერთო სასადილო.

ანგარიშება დაყენებულია თავის სათანადო სიმაღლეზე.

სანარდო მუშაობაზე გადასული არიან უკვე ხუთი თვე.

უნდა აღინიშნოს, რომ ებრაელი ქალები მუშაობენ არაჩვეულებრივი აქტივობით.

კოლექტივი შეუდგა შემოდგომის თესვას:

20 ჰექტარი პური. ასეთია ახალი გეგმა.

გეგმით განზრახულია აგრეთვე აშენებულ იქნეს ბოსელი, აგურქარხნის სარაიები, კრამიტის ქარხანა, საერთო საცხოვრებელი.

საერთო სახლი უნდა იქნეს 24 ოთახიანი (აქედან 4 ოთახი საერთო კრებებისათვის, ერთი კლუბი, ერთი სასადილო, ერთი სამზარეულო).

ზამთრისათვის უნდა ამოშრობილ იქნეს ჭაობები. ზამთარში უნდა მოიმარაგონ ქვა, კირი და ქვიშა. განზრახულია აგურქარხნის ერთი სამჯერ გადიდება.

კოლექტივის ხელში გადადის დიდი წისქვილი და ელსადგური.

კოლმეურნეთა ბავშვების ასი პროცენტი სწავლობს შრომის სკოლაში. უმცროსებიც ახდენენ წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციას და მათი განცხადებით — წელს აღარ იქნება არც ერთი უსწავლელი.

მოსდით გაზეთები.

აქვთ თავისი კედლის გაზეთი.

კოლმეურნეობის შეფია — ა.-კ. პოლიტსამმართველო.

კოლმეურნეთა თვალები ბრწყინავენ ენერგიულად.

მათი თავმჯდომარე, მორდეხ ხარაზი, მეტის მეტად გამრჯე, მუყაითი და იშვიათი ენერგიის პატრონი — ავტორიტეტულად გაიძახის:

— მუხრანს გადავაქცევთ ამ ქვეყნიურ სამოთხედ. ჩვენ მხოლოდ ოთხი რამ გვინდა საჩქაროდ და ყველამ ვისაც კი შეგვიძლიათ, ხელი შევაწყუეთ: **ტრაქტორი, საერთო საცხოვრებელი, ჯიშიანი ძროხების ფერმა და კლუბი.**

მორდეხს მხარს უმშვენებს კოლექტივის მოანგარიშე, ახალგაზრდა კომკავშირელი დავიდი. იგი ძალიან აქტიურია, მიუხედავად იმისა, რომ დიდი დატვირთვა აქვს. იგი მუხრანის საბჭოს პრეზიდიუმის წევრია, კოოპერატივის სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე და ეხმარება აგრეთვე მუხრანის სხვა კოლმეურნეობებსაც.

დიდი ხანი არ არის, რაც დავიდმა ტფილისში დაასრულა შვიდწლედი. მახსოვს, ვუცქეროდი მას, როგორ ასრულებდა სცენაზე გლეხის როლს. ყველას გვაოცებდა მისი დამაჯერებელი კილო.

ეხლა აღარ მაოცებს.

იგი ნამდვილი გლეხია, ახალი ყოფისა და სულისკვეთების მატარებელი.

ყოჩაღად მორდეხ და დავიდ! იმუშავეთ!

თქვენ ახალი ქვეყნის შვილები ხართ.

კოლმეურნეობა „მესამე ინტერნაციონალი“, რომელიც ატარებს უდიდეს სახელს, ღირსია გამარჯვებისა. იგი გაიმარჯვებს.

გ. ნატროშვილის წერილის დასასრული

ნებაში არ არის ობიექტიური თვისება, მაშინ არ არის თვისება არც ცნებაში. თუ შეგრძნებაში არ არის ობიექტიური აუცილებლობა, მაშინ არ არის აუცილებლობა არც ცნებაში“. В. Ралцевич „На два фронта“, გვ. 26).

ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ საბოლოოდ გავჩერდეთ შეგრძნების მომენტზე; ადამიანი მიდის შეგრძნებიდან თეორეტიულ შემეცნებისაკენ. „ასე არ ფიქრობენ დებორინელები; მათ ემპირიული მომენტი უძევთ ერთ ჯიბეში, ხოლო თეორეტიული მეორეში. დებორინი ამბობს: სინამდვილე განსჭვრეტის ფორმაში წარმოგვიდგება როგორც ბრმა, ქაოტიური სამეფო. მხოლოდ თეორიაში იღებს იგი გონივრულ ფორმას. ეს არაა მარქსის, ენგელსის და ლენინის აზრი. ესაა ჰეგელის და უმთავრესად კი კანტის მოსაზრება“. (იქვე). ასევე ითქმის დანელიას შესახებაც, მას მართლაც ერთ ჯიბეში უძევს სამშობლო, როგორც ემპირიულ გრძნობითი საგანი, მეორე ჯიბეში კი შენახული აქვს სამშობლოს **ცნება.**

დანელია ეხება რა საკითხის ფორმალისტურ დაყენებას, რომლის მიხედვით ხელოვნება მხოლოდ ხერხების ჯამია, სწერს: „მაგრამ არ უნდა გავუშვათ მხედველობიდან, რომ ლიტერატურული ნაწარმოები **შეიძლება განხილულ იქნეს** სულ სხვაგვარადაც თუნდაც იმ საფუძველზე, რომ ფორმის და შინაარსის ურთიერთობა არის არა მიზეზობრივი, არამედ ესთეტიური ხასიათის და ამიტომ თქმა იმისა, რომ თითქოს „ფორმა ჰქმნის შინაარს“ (В. Шкловский „Поэтика“, გვ 123.) **ძნელად თუა მართალი: ფორმა** კი არ ჰქმნის შინაარს, არამედ ორივე ისინი ე. ი. ფორმაც და შინაარსიც იქმნებიან ხელოვანის მიერ... **მაგრამ თუნდაც დავუშვათ** რომ ფორმა ჰქმნის შინაარსს, მაშინაც კი ვერ დავსცილდებით მხატვრულ ნაწარმოების კვლევის კანონიერებას მისი შინაარსის თვალსაზრისით, ვინაიდან მეცნიერული ცოდნა მოვლენისა არაა ვალდებული გამოხატოს მხოლოდ მისი წარმოშობის კანონი“ (დანელია „О философии Грибоедова“, გვ. 7).

პირველ ყოვლისა დანელია გაბედულად ვერ იმიჯნება ფორმალისტური თვალსაზრისისაგან. იგი იჩენს აშკარა შემარიგებლურ დამოკიდებულებას შკლოვსკის რეაქციონური მეთოდოლოგიის მიმართ. დანელიას ჰსურს განიხილოს გრიბოედოვის პიესის შინაარსი, ხოლო მისთვის სულ ერთია—ეს შინაარსი ნაკარნახევია სოციალკლასობრივ გარემოს მიერ, თუ თვით მხატვრულ ფორმების იმანენტურ განვითარების გზითაა შექმნილი. აქ აშკარავდება დანელიას იდეალისტური მეთოდოლოგიის ცენტრალური ძაფი. დანელიას აზრის მიხედვით მხატვრული ნაწარმოები მართალია შეიცავს იდეას, მაგრამ ეს იდეა არაა დამოკიდებული კონკრეტულ სინამდვილეზე. წინააღმდეგ შემთხვევაში (რატომ არ ებრძვის დანელია ფორმალიზმს? ეს უკანასკნელი იდეალისტური თვალსაზრისის ერთი ვარიაციაა და მაშასადამე, ბუნებრივად იპყრობს დანელიას სიმპატიებს.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ დანელია მკვეთრად ვერ ახასიათებს გრიბოედოვის იდეოლოგიურ [illegible] დანელიას აზრით გრიბოედოვის პიესა თითქოს „შეზრდილია **ჩვენთან“, „წარმოადგენს მკვიდრ ნაწილს ჩვენი საკუთარი ცხოვრებისა“.** დანელია ფიქრობს, რომ ჩვენ არ ვაძლევთ რა თავის-თავს ამაში ანგარიშს, **„ჩვენ ვაზროვნობთ გრიბოედოვის სახეებით, დაახლოებით ისე როგორც ვაზროვნობთ მშობლიური ენის სიტყვებით“,** მკვლევარის აზრით გრიბოედოვის პიესა წარსულს არ ეკუთვნის, „ის არ გამხდარა ჩვენთვის ჯერ უცხო სხეულათ“, „ის განაგრძობს სიცოცხლეს სრული სიცოცხლით“, ის ისევ საზოგადოებრივ ცხოვრების სხვადასხვა წრეებს ალელვებს თითქოს **„დღესაა დაწერილი“**. გრიბოედოვის პიესის ასეთი შეფასება მკვლევარის უაღრესი სუბიექტივიზმია და მეტი არაფერი. ხსენებულ პიესის ასეთი შეფასება გარეშე წარმომშობი კლასიური პირობებისა, გარეშე ისტორიული საფეხურის გათვალისწინებისა კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ გარემოებას, რომ დანელია, როგორც იდეალისტი უგულებელყოფს მატერიალურ ყოფას, რომელიც რეგულიაციას ახდენს იდეებისას და თვითაც განიცდის უკანასკნელთა აქტიურ ზედმოქმედებას, და პრიმატს ანიჭებს იდეას, რომელიც კონკრეტიულ შემთხვევაში საფუძვლად უძევს მხატვრულ ნაწარმოებს. უკვე ცხადია, რომ დანელიას ვერ გაუგია დიალექტიურ მატერიალიზმის მთავარი დებულება არსის და აზრის მთლიანობის შესახებ. ამ თვალსაზრისით აზროვნების განვითარების დიალექტიკა გამოხატულებაა სოციალურ-კლასიური სინამდვილის და საბოლოოდ მატერიალურ-საწარმოო ძალთა ურთიერთობის ვითარებისა. მათი გათიშვა აუცილებლად იდეალიზმამდე მიგვიყვანს.

საბოლოოდ უნდა ითქვას, რომ დანელიას ნაშრომი გრიბოედოვის ფილოსოფიური მსოფლმხედველობის შესახებ მრავალ ანალოგიურ შეცდომებს შეიცავს. აუცილებელია სასტიკი ბრძოლის წარმოება ამ შეცდომების წინააღმდეგ. დანელია ებრძვის პერევერზევის ვულგარულ მატერიალიზმს, იმის შესახებ, თითქოს მხატვრულ ნაწარმოებში ადგილი არა ჰქონდეს იდეებს. ამ ბრძოლას დანელია აწარმოებს არა დიალექტიური მატერიალიზმის, არამედ **იდეალიზმის პოზიციიდან.**

შევქმნათ პროლეტარული მუსიკა

13 ნოემბერს, ეგ. ნინოშვილის სახ. მწერალთა სასახლეში საქართველოს პროლეტმწერალთა ასოციაციის მასიური სექტორის თაოსნობით მოეწყო მწერლების და კომპოზიტორების შეხვედრა. შეხვედრის მიზანი იყო მწერლებსა და მუსიკოსებს შორის მჭიდრო კავშირის დამყარება.

აზრთა გაცვლა - გამოცვლაში მონაწილეობა მიიღეს მუსიკოსებმა: კილაძემ, კ. ფოცხვერაშვილმა, გოკიელმა, მშველიძემ, აზმაიფარაშვილმა, ვ. დოლიძემ და მწერლებმა: რ. გვეტაძემ, ს. ჩიქოვანმა, ა. სულავამ, გრ. ცეცხლაძემ, ბეს. ჟღენტმა.

ყველა გამოსული ამხანაგები ერთხმად აღნიშნავდენ, რომ დღემდე არ არსებობს მწერლებსა და მუსიკოსებს შორის საჭირო კონტაქტი, რის გამოც ჩვენი მუსიკა ჩამორჩა თანამედროვე ტემპებს. გამოითქვა აზრი, რომ მუსიკალურ ფრონტის გასამახვილებლად, სისტემატიურად ეწყობოდეს მწერალთა და მუსიკოსთა შეხვედრები.

პრაქტიკული მუშაობის საწარმოებლად გამოყოფილ იქნა მწერალთა და მუსიკოსთა შერეული კომისია. კომისიის წევრებათ არჩეულ იქნენ, მწერლებიდან: ა. მაშაშვილი, ს. ჩიქოვანი და ი. აბაშიძე; მუსიკოსებიდან: კილაძე, გოკიელი და აზმაიფარაშვილი.

მწერალთა ბრიგადა ბამბის ავრალზე

ალაზნის არხის ბოგირზე დგანან მარცხნიდან მარჯვნივ: აიკ კარაპეტიანი (სომხურ სექციიდან) ვ. ჩხეიძე, სიმ. ჩიქოვანი, მიხ. ჩიქოვანი.

მწერლები საოქტომბრო დემონსტრაციაში

ოქტომბრის დღესასწაულის დღეს, 7 ნოემბერს დილით ეგ. ნინოშვილის სახ. მწერალთა სასახლეში, რომელიც მორთული იყო საზეიმოთ, თავი მოიყარეს პროლეტარულმა და საბჭოთა მწერლებმა, საიდანაც საკუთარი დროშით გაემართენ დემონსტრაციაში მონაწილეობის მისაღებად. დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღო მწერალთა მთელმა აქტივმა.

ვეფხის ტყაოსანის გარშემო

11 ნოემბერს, ეგ. ნინოშვილის სახელობის მწერალთა სასახლეში, გაიმართა საბჭოთა მწერლობის ფედერაციასთან არსებული სალიტერატურო წრის მორიგი სხდომა. თემაზე: „ვეფხის ტყაოსანის ნამდვილი დაბოლოების აღდგენისათვის“, მოხსენებით გამოვიდა პოეტი კ. ჭიჭინაძე. მომხსენებელმა განავითარა შემდეგი აზრი: ვეფხის ტყაოსანის ვახტანგისეული რედაქცია არის შემოკლებული ტექსტი პოემისა, და რომ ამ რედაქციისაგან განსხვავდებიან ყველა ძველი ხელთნაწერები, რომლებიც სჭარბობენ მას ათი თავით, ბოლოში. მომხსენებლის აზრით სამი პირველი თავი ამ ათი თავიდან (ინდო-ხატაელთა ამბავი) წარმოადგენს პოემის ნამდვილ დაბოლოებას. ამის დასასაბუთებლად, მან გამოთქვა მოსაზრებანი თავის წიგნიდან რუსთაველის გარშემო და წარმოადგინა დამატებითი ნამუშევარი ამ საკითხზე. მომხსენებელი ემყარებოდა მთლიანად ტექსტუალურ კვლევას. მთავარი მოსაზრება: ძირითად უდაო ტექსტში სჩანს ინდო-ხატაელთა ამბავის დაწერის აუცილებლობა.

მომხსენებელმა თავისი მოხსენების მეორე ნაწილში გააკრიტიკა პროფ. კ. კეკელიძის მიერ „მნათობის“ № 7—8-ში მოთავსებული წერილი, რომელშიაც პროფ. კ. კეკელიძე ზემოხსენებულ ინდო-ხატაელთა ამბავს აკუთვნებს მეთექვსმეტე საუკუნეს.

მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს: ა. გაწერელიამ, ადეიშვილმა, კ. გამსახურდიამ და ი. გრიშაშვილმა.

X.

ექსპედიცია

ფშავ ხევსურეთში

საქ. დრამკომის ინიციატივით გასულ ზაფხულში მოეწყო კულტ-ექსპედიცია ფშავ - ხევსურეთში. ექსპედიციაში მონაწილეობა მიიღეს საქ. წითელი ჯვრის საზოგადოებამ, საქ. დრამკომმა, მთიელთა კულტ. საზოგადოებამ, სახკინმრეწვმა, ცეკავშირმა და განსახკომმა. ექსპედიცია შესდგებოდა 17 კაცისაგან..

ექსპედიციამ დიდი პრაქტიკული მუშაობა ჩაატარა. გამართა ფშავ-ხევსურეთში წარმოდგენები სპეციალურად შერჩეულ პროგრამით (რეჟისორი ნ. გოძიაშვილი. ავტორები გ. ბუხნიკაშვილი, შ. [illegible], ნ. გოგიაშვილი), გაიმართა კინო-სეანსები, ექსპედიცია უწევდა მოსახლეობას საექიმო დახმარებას. ჩაატარა მრავალი მოხსენებები და ბაასი სანიტ-ჰიგიენურ და სხვადასხვა მიმდინარე პრაქტიკულ საკითხებზე, მოწყობილი იქნა ორი დრამწრე. ექსპედიციის შემადგენლობაში შედიოდა პროლეტ. მწერალი ფ. ნაროუშვილი და მწერალი ქალი მარიჯანი.

ექსპედიციის ინიციატივით ტფილისში [illegible] იქნა 50 ახალგაზრდა ხევსური სასწავლებლად, რომლებიც განსახკომმა მოაწყო სხვადასხვა სასწავლებლებში, სტიპენდიების დანიშვნით.

საქ. დრამკომის გამგეობის სხდომაზე მოსმენილი იქნა ექსპედიციის მუშაობის შედეგები. დრამკომმა შეფობა აიღო ფშავ - ხევსურეთში მოწყობილ დრამწრეზე და მიაწოდა მას საჭირო სათეატრო საგნები.

ლიტქრონიკა

საკავშირო პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის გაერთიანების საბჭოს პლენუმი.

30 ნოემბერს, მოსკოვში დანიშნულია საკავშირო პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის გაერთიანების საბჭოს პლენუმი. დღის წესრიგში, სხვა საკითხებთან ერთად სდგას მოხსენება საქართველოდან: 1) და კვრელ მუშების მწერლობაში გაწვევის შედეგები, 2) თანამგზავრობა კომკავშირობა და 3) თეატრალური ფრონტი.

⁂

უცხოელი და რუსი პოეტები ქართულად

პოეტმა **ვალერიან გაფრინდაშვილმა** დაამზადა დასაბეჭდათ უცხოეთის და რუსი პოეტების ლექსთა კრებული. კრებულში შევა ევროპის და რუსეთის გამოჩენილი კლასიკოსები, განსაკუთრებით ვრცლად იქნება წარმოდგენილი თანამედროვე რევოლიუციონური და პროლეტარული პოეზია. წიგნი დაახლოებით გამოვა 200 გვერდი, წიგნში მოთავსებული იქნება თარგმნილი პოეტების პორტრეტები. კრებულს გამოსცემს საბჭოთა მწერლების ფედერაციის გამომცემლობა „ფედერაცია“.

⁂

„როცა მუნჯები ალაპარაკდებიან“.

გერცელ ბააზოვმა დასწერა პიესა: „როცა მუნჯები ალაპარაკდებიან“. პიესა მოწონებულია და მზადდება დასადგმელად მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით არსებულ თეატრში. აღნიშნული პიესა წარმოდგენილი იქნება აგრეთვე ქუთაისის სახელმწიფო თეატრში.

⁂

„სანავარდო“ უკრაინულად.

უკრაინულ ენაზე გამოვიდა **დემნა შენგელაიას** რომანი „სანავარდო“.

⁂

„სომხეთში“

დაიბეჭდა და ამ დღეებში გამოვა ტიციან ტაბიძის ახალი ლექსების წიგნი „სომხეთში“. გამოცემა სახელგამის.

⁂

სარმას გამოფენა.

8 ნოემბერს, საქართველოს ეროვნულ გალერეაში გაიხსნა სარმას(საქ. რევოლიუციონური მხატვრობის ასოციაცია) სამხატვრო გამოფენა. გამოფენაზე წარმოდგენილია 50-დე მხატვარი და 10-დე მოქანდაკე. გამოფენა საზოგადოებაში დიდ ინტერესს იწვევს. გამოფენის შესახებ რეცენზია მოთავსებული იქნება ჩვენი გაზეთის მორიგ ნომერში.

⁂

გამოვიდა და იყიდება ჟურნალ „პროლეტარული მწერლობა“ № 6—7

შინაარსი: **ამხ. სტალინის** სიტყ საქართველოს პროლეტარულ მწერა ასოციაციის ამოცანები; **ალ. მაშაშვილი** განგაში (პიესა), **გ. ტაბიძე**— ყველა წით არმიელი იდგეს როგორც ლომი; **მ. გვა ლია**— უხელტეხილზე; **სიმ. წვერავა**—საწ რომოო ტრიბუნალი; **გ. კაჭახიძე**—ზანაკა არმიელებთან. **გ. კაჭახიძე**—ყაზარმის მწერლებს; **ირ. აბაშიძე**—დაეუფლე ტეხნიკას **არ. ჩაჩიბაია** — ენტუზიასტები; **ა. ჟარო** — საზღვარზე, **გ. შატბერაშვილი**—სად ჭა რი არხევს არმიელის წითელ ფარაჯას, **ერთაწმინდელი** — ჩარულა, **მიხ. ჩიქოვანი** — თეთრი ქალაქი, **ნ. კიკვაძე**—საწარმოო მფრინავი, **ზ. დოლიაშვილი**—სამედლო ცეხი, **ნ. დაფნარელი**—ნარაზენი, **დ. ჯღარკავა**— ლენინის ორდენი.

კრიტიკა და მეთოდოლოგია: **ვენ. ბუაჩიძე**—ბოლშევიზმის დიადი ხელოვნების გზებზე, **ნ. ბლუაშვილი**—წითელი არმია და პროლეტარული მწერლობის ამოცანები, **პ. მირიტაძე**—ლოკაფი საბრძოლო მომზადების სამსახურში, **ალ. სულავა**—თმი და ლიტერატურა, **ვ. ლუარსაბიძე**—ქართული ეირონდის მწერლობა, **გ. ნატროშვილი** — ალიო მაშაშვილის „განგაში“-ს შესახებ. ბიბლიოგრაფია.

სარედაქციო კოლეგია
რ. გვეტაძე, ნ. მიწიშვილი, შ. რადიანი (პ.-მ. რედაქტორი), ა სულავა, ლ. ქიაჩელი, ს. ჩიქოვა ნი, ს. წვერავა.

რედაქცია მოთავსებულია ეგ. ნინოშვილის სახელობის მწერალთა სასახლეში, მაჩაბლის ქ. № ტელ. 1—65.

გამომცემელი — სახ. გამომცემლობა

მიიღება ხელისმოწერა 1932 წლისათვის
სახელგამის შემდეგ ჟურნალებზე

„მ ნ ა თ ო ბ ი“	12 ნომერი 9 წიგ.	1 წ. 12 მ.	6 თვ. 7—00 კ.
„პროლეტარული მწერლობა“	12 ნომერი 9 წიგნად	1 წ. 6 მ.	6 თვ. 3—50 კ.
„ლიტერატურული გაზეთი“	36 „ „ ათდღეში ერთჯერ	1 წ. 5 მ. 40 კ.	6 თვ. 2—70 კ.
„პარტიული მშენებლობა“	12—ორ დეკადაში ერთჯერ	1 წ. 5 მ.	6 თვ. 2 50
„კომუნისტური რევოლუცია“	ორ კვირეული	1 წ. 6 მ.	6 თვ. 3—00 კ.
„წ ი გ ნ ი“	ყოველ თვიური	1 წ. 8 მ.	6 თვ. [illegible]
„ლიტერატურულ ფრონტზე“	თვეში ერთჯერ (გამოდის ქუთაისში)	1 წ. 8 მ.	6 თვ. 1—70 კ.
„პ ი ო ნ ე რ ი“	ორ კვირეული	1 წ. 4 მ.	6 თვ. 1—70 კ.
„ო ქ ტ ო მ ბ რ ე ლ ი“	ყოველ თვიური	1 წ. 3 მ.	6 თვ. 1 70 კ.
„კარმირ-[illegible]ირელი“	(სომხურად)	1 წ. 3 მ.	6 თვ. 1—70 კ.
„ე ნ ი ქ უ ვ ვ ე“	(თურქულად)	1 წ. 3 მ.	6 თვ. 1—70 კ.

რადგან [illegible] ჟურნალისათვის წინასწარ დაწესებულია განსაზღვრული ტირაჟი, ამიტომ საჭიროა მსურველებმა დააჩქარონ ხელისმოწერა.

ხელისმოწერა მიიღება:

1) ტფილისში პერიოდსექტორში ჯორჯაძის ქ. № 1. 2) სახელგამის ყველა მაღაზიებში — ტფილისა და პროვინციაში. 3) პერიოდსექტორის რწმუნებულებთან. 4) ფოსტა-ტელეგრაფის ყველა კანტორაში.

სახელგამის პერიოდსექტორი.

კამოს ქ. № 68.
მთავლიტი № 2095
ტირაჟი 4000